საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 15 სექტემბერი. 2018 წ. №180-181 (8581-8582) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ჯუმბერ სარდლიშვილი

④



შევიცნოთ ბოროტება და არ შევუშვათ ის ჩვენს ოჯახებში!..

დავით რაზმაძემ ზაზა სარალიძეს დედა აგინა და არაკაცი უწოდა

გორის საკრებულოს თავმჯდომარემ ზაზა სარალიძეს დედა აგინა და არაკაცი უწოდა. მან თბილისიდან ჩასულ სარალიძეს და მაჩალიკაშვილს პოლიტიკურად მართულები უწოდა.

სარალიძე და მაჩალიკაშვილი ხელთუბნის მოსახლეობის მიერ გამართული აქციის მხარდასაჭერად ჩავიდნენ. აქციაზე 18 წლის ახალგაზრდის სიკვდილის რეალური მიზეზის დადგენას და საქმის სრულყოფილად გამოძიებას ითხოვენ.

მიხეილ ბატიაშვილი: 2020 წლისთვის ერთიანი ეროვნული გამოცდების ახალ სისტემას დავნერგავთ!

2020 წლისთვის ერთიანი ეროვნული გამოცდების ახალი სისტემის დანერგვა იქნება შესაძლებელი, — ამის შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტის და კულტურის მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილმა განათლების რეფორმის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, მოხდება არსებული ეროვნული გამოცდების სისტემის შეფასება საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად. შესაბამისად, მისივე თქმით, სისტემის ახალი მოდელის დანერგვა 2020 წლისთვის იქნება შესაძლებელი.

მან აქვე განმარტა, რომ განათლების რეფორმა ზოგადი განათლების მიმართულებით სკოლების ახალ მოდელს ითვალისწინებს. მისივე თქმით, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, მოსწავლეზე ორიენტირებული, ცვლილებებზე სწრაფად ადაპტირებადი სკოლა სისტემურად, ერთიანად ვითარდებოდეს მისი ყველა კომპონენტის გათვალისწინებით.

„სკოლის ახალი მოდელი ითვალისწინებს სკოლის დირექტორს, როგორც ლიდერს, მართვისა და სწავლების ახალ მოდელებს, გადამზადებულ პედაგოგებსა და განახლებულ ინფრასტრუქტურას, ერთიან სასწავლო და ლაბორატორიულ პლატფორმას და უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს — სკოლაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და უსაფრთხო გარემოს შექმნას, რისთვისაც არაერთი პროექტი განხორციელდება“, — დასძინა ბატიაშვილმა.

თორნიკე მერებაშვილის მამა შსს-ს ორკვირიან ვადას აძლევს

გორის რაიონის სოფელ ხელთუბანში გარდაცვლილი თორნიკე მერებაშვილის მამა შსს-ს ორკვირიან ვადას აძლევს. ოჯახი მიიჩნევს, რომ თორნიკე მერებაშვილი ავარიის შედეგად არ დაღუპულა და იგი მოკლულია.

„ორ კვირაში უნდა დაიდოს ამ გამოძიების კონკრეტული შედეგი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაცილებით მასშტაბური საპროტესტო აქციები გაიმართება. არაერთხელ ვუთხარი შსს-ს წარმომადგენლებს, რომ ობიექტურად ჩაეტარებინათ გამოძიება და ნუ მაიძულებდნენ, რომ ქუჩაში გამოვსულიყავი და ამგვარი ზომებისთვის მიმემართა. თუმცა, როგორც ვხედავთ, მაინც ქუჩაში გამოსვლა და პროტესტი გახდა საჭირო“, — განაცხადა გარდაცვლილის მამამ, მერაბ მერებაშვილმა.

„ნუ ყიდი საქართველოს!“ — ნაცების უნიჭო სპექტაკლები გრძელდება...

„ნუ ყიდი საქართველოს“, „30 თეთრი ღალატისთვის“, — ამ დანიშნულებით მოქალაქეები პრეზიდენტობის დამოუკიდებელ კანდიდატს სალომე ზურაბიშვილს პირად ანგარიშზე 30 თეთრს ურიცხავენ.

მოქალაქეები 30 თეთრში 30 ვერცხლს მოიაზრებენ და მიუთითებენ, რომ სალომე ზურაბიშვილი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებებით ქვეყანას აზიანებს.

ცნობისთვის, საპრეზიდენტო არჩევნებიდან სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურის მოხსნის მოთხოვნით გუშინ პეტიციაც შეიქმნა. ამ დროისთვის პეტიციას ხელს 8 952 ადამიანი აწერს.

როსტომ ჩხეიძე:

⑦

გადახედვა სჭირდება პანთეონის სტატუსს

ილია მეორე:

ამპარტავნობა დაღუპვის გზაა



საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქმა ილია მეორემ სიონის ტაძარში გუშინ ქადაგებისას განაცხადა.

„შევთხოვოთ უფალს, რომ მოგვანიჭოს მოთმინება, თავმდაბლობა, მორჩილება, ნიჭი სწავლისა და სიყვარულისა. მე მახსენდება ჩემი სტუდენტობის წლები. ერთმა პროფესორმა გვითხრა, რომ სასულიერო სასწავლებელი არ აძლევს ცოდნას, აძლევს გასაღებს იმ დარბაზისა, სადაც ადამიანმა უნდა შეიძინოს ცოდნა. უნდა შეინახო ეს გასაღები კარგად და გააღო ცოდნის და განათლების დარბაზი. შენ უნდა იფიქრო შენს მომავალზე. დღეს ჩვენ შევთხოვთ უფალს, რომ მოგვანიჭოს უფალმა სიბრძნე. სიბრძნის საწყისი არის ღვთის შიში. შიში ღვთისა არის საწყისი წინსვლისა. სასულიერო სასწავლებელი არის ძვირფასი იმით, რომ სემინარია და აკადემია აძლევს ფართო განათლებას. ჩემთან სწავლობდა საშუალო სკოლაში ნიჭიერი ახალგაზრდები. ერთმა მათგანმა დაამთავრა ოქროს მედლით. მაშინ პირველი წელი იყო როდესაც ოქროს მედალით აჯილდოებდნენ, მაგრამ ის გამოვიდა ძალიან ვიწრო განათლებით ექიმი. განათლება ძვირფასია იმ შემთხვევაში, როდესაც ის არის მორწმუნე ადამიანის გონებაში. მორწმუნე ადამიანმა შეიძლება ბევრი რამ გააკეთოს. ურწმუნო ადამიანის გონებაში კი საშიშია განათლება. ამიტომ მივმართავ ჩვენს სტუდენტებს და ახალგაზრდობას, რომ უპირველეს ყოვლისა, იფიქრეთ სულიერებაზე. იფიქრეთ სარწმუნოებასა და თავმდაბლობაზე. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მეგობარს — თუ ვინ გყავს. მე მახსენდება ჩემი მეგობრები აკადემიის და სემინარიის. ზოგიერთი მათგანი იყო ფილოსოფიური განათლებით და მათ იმოქმედეს ჩემზეც, სტუდენტებზეც. ჩვენ რომ ვამთავრებდით ლექციებს, მივდიოდით ბიბლიოთეკაში და ვეძებდით ფილოსოფიურ წიგნებს. ღმერთმა მოგცეთ სალი გონება, მხიარულება, თავმდაბლობა და მორჩილება. არის შემთხვევები, როცა სტუდენტი ამპარტავნდება და იწყებს კრიტიკას მასწავლებლებისა და უფროსებისა. ეს დაღუპვის გზა არის. ამას ერიდეთ. ღმერთი იყოს თქვენი და საქართველოს მფარველი“, — განაცხადა ილია მეორემ.

ფინანსთა სამინისტრომ „იბერიის“ მფლობელ „ომეგა ჯგუფს“ 11-ჯერ გადაუვადა გადასახადები!

პრემიერ-მინისტრ **მამუკა ბახტაძის განცხადებით, არ არის ლამაზი, როცა აქციონერი ცდილობს ორი საკითხის ერთმანეთთან დაკავშირებას,** — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ტელეკომპანია „იბერიის“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით განაცხადა.

მისი თქმით, „ქართული ოცნება“ ყოველთვის აიღებს პასუხისმგებლობას იმაზე, რომ საქართველოში დაცული იყოს მედიაპლურალიზმი.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი გამარჯვება არის ის, რომ ჩვენთან დამკვიდრდა მედიაპლურალიზმი და ეს არის ჩვენი ერთ-ერთი მთავარი წარმატება. რაც შეეხება საგადასახადო კომპონენტს, რომელიც ეხება თამბაქოს ბიზნესს და კომერციულ საქმიანობას, ეს არის განსხვავებული ასპექტი. არ არის ლამაზი, როცა აქციონერი ცდილობს ამ ორი საკითხის ერთმანეთთან დაკავშირებას. ჩვენ ვართ ყველა მეწარმის გვერდით, რომელიც თუნდაც ერთ ადამიანს დაასაქმებს და ერთ სამუშაო ადგილს ქმნის. მე პირადად გამოვხატავ სიმპათიას ყველა მეწარმის მიმართ, რომელიც თუნდაც ერთ სამუშაო ადგილს ქმნის, სახელმწიფო ყოველთვის არის მოწადინებული იმაზე, რომ კომერციულ საქმიანობას დაუდგეს გვერდით, თუ ვერ იხდის გადასახადებს, მისცეს მას ისეთი კომფორტული გადახდის გეგმა, რომ შენარჩუნებული იქნეს საწარმო, ფინანსთა სამინისტრომ და შემოსავლების სამსახურმა ამის დემონსტრირება მოახდინა. შემოსავლების სამსახურმა 11-ჯერ გადაავადა ის გადასახადები, რაც ასეთ დროს ხდება, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

ივანე მაჭავარიანი: კეთილი ინებონ და ბიუჯეტში დავალიანება გადაიხადონ!

— ამის შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა „ომეგა ჯგუფთან“ დაკავშირებით გუშინ განაცხადა.

გავრცელებულ ჩანაწერთან დაკავშირებით მან თქვა, რომ „ბიუჯეტში დავალიანება უნდა გადაიხადონ, გინდ ვიდეო ჰქონდეთ, გინდ აუდიო!..

„ერთადერთი, რასაც ვადასტურებ, არის დავალიანება ბიუჯეტთან, რომელიც 3 წლის განმავლობაში იზრდებოდა და ეს უნდა გაჩერებულიყო. კეთილი ინებონ და გადაიხადონ“, — განაცხადა მაჭავარიანმა.

ტატუნაშვილის საქმეზე ბრალდებულების წითელი ცირკულარით ძებნის გამოცხადება აუცილებელია!

— ამის შესახებ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ქეთევან ციხელაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, სახელმწიფო იყენებს ყველა სამართლებრივ ბერკეტს, იმისთვის რომ დაისაჯოს ყველა დამნაშავე პირი. სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, ქვეყანამ ინტერპოლის წითელი ცირკულარი ასევე გამოიყენა გიგა ოთხოზორიას მკვლელის შემთხვევაშიც, რომლის იდენტიფიცირებაც უკვე მოხდა და ქართულმა სასამართლომ დამნაშავედ ცნო.

„ეს აუცილებელი ნაბიჯია, ამიტომაც ვიყენებთ ყველა სამართლებრივ ბერკეტს, რომ მართლმსაჯულება აღსრულდეს და დამნაშავეები დაისაჯონ. ასევე იყო ოთხოზორიას შემთხვევაშიც, რომლის მკვლელი იდენტიფიცირებულია და ქართულმა სასამართლომ ცნო ბრალდებულად. ამ პირებს, რადგან ინტერპოლის წითელ ცირკულარში მოხვდნენ, საზღვრის გადაკვეთის შემთხვევაში დააკავებენ“, — განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა.

მამუკა ბახტაძე: გპირდებით, რომ განათლების რეფორმას აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე!

ამის **შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ იყალთოს სამონასტრო კომპლექსში გუშინ განაცხადა.**

დღეს ჩვენი ქვეყანა დგას მრავალი გამოწვევის წინაშე — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, სიღარიბის დაძლევა, სოციალური პრობლემები და ბევრი სხვა. მისივე თქმით, ყველაზე ღირსეული პასუხი ამ გამოწვევებზე არის განათლებული საქართველო.

— განათლების სისტემის მოდერნიზაცია, ძლიერი და საფუძვლიანი განათლების სისტემის შექმნა და მისი ამოქმედება არის მთავარი წინაპირობა იმისთვის, რომ საქართველომ ეს დაბრკოლებები დაძლიოს. მე განვაცხადე, რომ ჩემი ცხოვრების მთავარი პრიორიტეტია განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაციები. შესაბამისად, დღეს ჩემთვის არის უმნიშვნელოვანესი და ძალიან ემოციური დღე. ბევრმა თქვენგანმა კარგად იცის, რამდენად მნიშვნელოვანია ჩემთვის განათლების რეფორმის გატარება და მე გპირდებით, რომ ამ რეფორმას აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე და დავაყენებთ იმ შედეგს, რომელსაც საქართველო ნამდვილად იმსახურებს. სწორედ ამიტომ, დღეს, ამ წმინდა ადგილას, მე და ჩემი გუნდი წარმოვადგენთ განათლების სისტემის რეფორმის ხედვას, — განაცხადა ბახტაძემ.

2022 წლისთვის საჯარო სკოლების მასწავლებელთა საშუალო ხელფასი სამჯერ გაიზრდება!..

რეფორმის **შედეგად მივიღებთ სკოლის ახალ მოდელს, რომელიც იქნება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შერწყმა ქართულ რეალობასთან და ქართულ სამეცნიერო თუ პედაგოგიურ გამოცდილებასთან,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ იყალთოს სამონასტრო კომპლექსში განათლების რეფორმის ხედვის წარდგენისას განაცხადა. **როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, გადაიხედება მასწავლებლების სახელფასო პოლიტიკა. პირველ ეტაპზე, 2018-2019 სასწავლო წლის განმავლობაში გაზრდილ ხელფასს მიიღებს დაახლოებით 10 000-მდე მასწავლებელი. ჩვენი ამოცანაა, 2022 წლისთვის, საჯარო სკოლაში დასაქმებული მასწავლებლის საშუალო ხელფასი გაიზარდოს სამჯერ... მისივე თქმით, ძლიერ თანამედროვე სკოლაში აუცილებლად იქნება უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.**

პოლიციის დეპარტამენტების ახალი დირექტორები

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ პოლიციის დეპარტამენტების ახალი დირექტორები წარადგინა.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად გაგა კირკიტაძე დაინიშნა, რომელიც აქამდე ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობა კი გაგა კირკიტაძის ნაცვლად ლაშა გოგნიაშვილმა დაიკავა.

ერგნეთის შეხვედრა დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჩაშალეს

მიმდინარე წლის 14 სექტემბერს ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) 89-ე შეხვედრა დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა პროტესტის ნიშნად ჩაშალეს. ამის შესახებ განცხადებას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქვეყნებს.

„მათ IPRM-ის დღის წესრიგიდან არჩილ ტატუნაშვილისა და დავით ბაშარულის საკთხების ამოღება მოითხოვეს. აღნიშნული საკითხების დღის წესრიგიდან მოხსნა და IPRM-ის ფორმატში ულტიმატუმის ენით საუბარი კატეგორიულად მიუღებელია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისათვის, რადგან მსგავსი მოთხოვნები ეწინააღმდეგება ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფუნდამენტურ პრინციპებს“, — აღნიშნულია სუს-ის განცხადებაში.

ბათუმი საქართველო-ჩეხეთის ბიზნესფორუმს მასპინძლობს

ბათუმში **ბიზნესფორუმი „საქართველო-ჩეხეთის რესპუბლიკა“ გაიმართა. ფორუმი აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ თორნიკე რიჟვაძემ გახსნა. სტუმრებს ასევე მიესალმა აჭარაში ოფიციალური ვიზიტით მყოფი ჩეხეთის რესპუბლიკის მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი მარტა ნოვაკოვა.**

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას ხაზი გაუსვა საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის არსებულ მჭიდრო მეგობრულ თანამშრომლობას და დელეგაციის წევრებს მადლობა გადაუხადა აჭარის რეგიონით დაინტერესებისთვის.

თორნიკე რიჟვაძემ ასევე ისაუბრა ფორუმის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ დღევანდელი ღონისძიება ერთგვარი პლატფორმაა ორი ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალის გასაცნობად და ახალი ეკონომიკური და საქმიანი ურთიერთობების დასამყარებლად. მისი თქმით, სტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო, ისევე როგორც მოქნილი საგადასახადო სისტემა, ქმნის ძალიან მიმზიდველ ატმოსფეროს რეგიონში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად.

ბიზნესფორუმს ჩეხეთის რესპუბლიკის სამრეწველო პალატის ვიცე-პრეზიდენტი ბორივოუ მინარი, ოფიციალური დელეგაციის წევრები, ასევე, ჩეხეთის რესპუბლიკაში მოღვაწე 25 კომპანიის წარმომადგენელი დაესწრო.

ბიზნესფორუმი მიზნად ისახავს ქვეყნებს შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას და ახალი კონტაქტების დამყარებას. ფორუმის მონაწილეებმა აჭარის საპრივატიზაციო ობიექტებზე, საქართველოში ბიზნესის დაწყების რეგულაციებზე, რეგიონის ეკონომიკის ძირითად პარამეტრებზე მიიღეს ინფორმაცია.

ბიზნესფორუმი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ორგანიზებით ჩატარდა.

გიორგი დანელია: „საპარტნიორო ფონდი“ ინვესტორებს კაპიტალის ეფექტიანი გამოყენების საშუალებას აძლევს

„საპარტნიორო ფონდის“ საინვესტიციო დეპარტამენტის დირექტორმა გიორგი დანელიამ Globalscope 2018 — პირველ საერთაშორისო M&A ფორუმში მიიღო მონაწილეობა.

„საპარტნიორო ფონდი“ ინვესტორებს კაპიტალის ეფექტიანი გამოყენების საშუალებას აძლევს და მიმზიდველ ბიზნესპროექტებში ინვესტირებას სთავაზობს“ — ეს განაცხადება გიორგი დანელიამ საერთაშორისო ფორუმზე გააკეთა, რომელსაც მსოფლიოს 55 უმსხვილესი საინვესტიციო კომპანიისა და 40-ზე მეტი ქვეყნის დელეგატი ესწრებოდა.

Globalscope ამიერკავკასიის რეგიონში პირველია, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი, შერწყმასა და შესყიდვაზე სპეციალიზებული, მსოფლიო ქსელის — Globalcope-ის წევრი გახდა. პირველად, საქართველოში ქართულ კომპანიებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საზღვარგარეთ ახალი ბიზნესის შეძენით, ან არსებული ბიზნესის ადგილზე გაფართოებით, კონფიდენციალურობის სრული დაცვით, ბიზნესის შერწყმის ან გაყიდვის შესაძლებლობა ეძლევათ.

საერთაშორისო M&A ფორუმი საქართველოში საინვესტიციო კომპანია „ალიანს ჯგუფი კაპიტალის“ ორგანიზებით პირველად გაიმართა. საინვესტიციო კომპანია „ალიანს ჯგუფი კაპიტალმა“ Globalscope-ის მორიგი ფორუმისთვის საქართველოში მასპინძლობის უფლება ავსტრალიაში გამართულ წინა წლის ფორუმზე 46 წევრი ქვეყნის კენჭისყრის შედეგად მოიპოვა.

Globalscope 1987 წელს დაარსებული, მსოფლიოს წამყვანი Mergers & Acqisitions ქსელია, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს M&A სფეროში, მართავს ბიზნესის შესყიდვების, გაფართოებისა და რესტრუქტურიზების ტრანზაქციებს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

„BBC“ (დიდი ბრიტანეთი)

რაში სჭირდება „ქართულ ოცნებას“ სალომე ზურაბიშვილი?

„28 ოქტომბერს დაგეგმილ საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატთაგან მმართველმა პარტიამ მხარი დაუჭირა დამოუკიდებელ კანდიდატს სალომე ზურაბიშვილს, რომელიც, „ქართული ოცნების“ აზრით არჩევნებს მოიგებს და საქართველოს ისტორიაში პირველი არჩეული ქალი-პრეზიდენტი იქნება“, — ასე იწყება ბრიტანული „BBC“-ს მიერ გამოქვეყნებული სტატია, რომლის ქართულენოვან რეზიუმეს საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ:

საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურის უნიკალურობა იმაშიც გამოიხატება, რომ პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ქვეყნის მმართველი პარტია თავის კანდიდატს კი არ ასახელებს პრეზიდენტად, არამედ მხარს უჭერს დამოუკიდებელ კანდიდატს. პარტიაში ამბობენ, რომ ამას მაქსიმალური პლურალიზმის უზრუნველყოფის მიზნით აკეთებენ. მაგრამ როგორც ოპოზიციაში, ასევე ანალიტიკოსთა წრეებში თვლიან, რომ სალომე ზურაბიშვილის **„დამოუკიდებლობა“ ნომინალურია. თვითონ განსაჯეთ: იგი 2016 წლის საპარლამენტო აჩევნებშიც „დამოუკიდებელი“ სტატუსით გამოდიოდა, მაგრამ მხოლოდ „ქართული ოცნების“ დახმარებით გახდა პარლამენტის დეპუტატი“,** — აღნიშნულია სტატიაში.

სალომე ზურაბიშვილმა 101 701 ლარის შემოწირულობა მიიღო

პრეზიდენტობის დამოუკიდებელ კანდიდატს სალომე ზურაბიშვილს 2018 წლის 23 აგვისტოდან 11 სექტემბრის ჩათვლით 102 000 ლარამდე ფულადი შემოწირულობა აქვს მიღებული.

ინფორმაცია ამის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოაქვეყნა.

ინფორმაციის თანახმად, სალომე ზურაბიშვილმა საკუთარ თავს 40 ათასი ლარი შესწირა.

სალომე ზურაბიშვილს ყველაზე დიდი შემოწირულობა — 50 000 ლარი, 11 სექტემბერს, ფიზიკური პირისგან, ვასტანგ ლაღიძისგან აქვს მიღებული.

ამავე პერიოდში სალომე ზურაბიშვილს 7 320 ლარის არაფულადი შემოწირულობა აქვს მიღებული.

პუბლიკაციაში საკმაოდ ფართოდაა მოცემული სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკურ-დიპლომატიური ბიოგრაფიის მომენტები: კარიერა საფრანგეთის საგარო საქმეთა უწყებაში, საფრანგეთის ელჩად დანიშვნა ისტორიულ სამშობლოში — საქართველოში, მისი საქმიანობა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრობის პერიოდში და თანამდებობიდან გადადგომა (უფრო ზუსტად, „ხელისუფლებიდან ჩამოშორება“). სტატიაში აღნიშნულია, სალომე ზურაბიშვილს 2013 წელსაც სურდა საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი კანდიდატურის წარდგენა, მაგრამ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაზე უარი განუცხადა ორმაგი — საფრანგეთისა და საქართველოს მოქალაქეობის გამო. ამჟამად მას მხოლოდ ერთი მოქალაქეობა აქვს — საქართველოს მოქალაქეობა.

„ბევრი თვლის, რომ მინისტრობის პერიოდში სალომე ზურაბიშვილის ერთ-ერთი მთავარი დამსახურებაა მის მიერ შეტანილი წვლილი რუსეთთან მოლაპარაკების პროცესში და აქედან გამომდინარე, საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანის მიზნით შეთანხმების მიღწევაში. თუმცა, ამის მიუხედავად, წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებისთანავე სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ ბრალდებების მთელი ნიაღვარი წამოვიდა — მისი განცხადების გამო 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით. მან ჟურნალისტის კითხვას პასუხი ასეთი სახით გასცა: რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ომი ჯერ კიდევ ასი წლის წინ დაიწყო, მაგრამ 2008 წელს საქართველო რუსულ პროვოკაციაზე წამოეგო და ომი ახალი ძალით განახლდაო. სალომე ზურაბიშვილის განცხადება არც ოპოზიციაში არ მოეწონათ და ბევრს — მმართველ პარტიაშიც. მოგვიანებით ექსმინისტრმა განმარტა, რომ 2008 წელს აგრესორი რუსეთი იყო, მაგრამ მიხეილ სააკაშვილისა და მისი გარემოცვის მოქმედებამ წყალი რუსეთის წისქვილზე დაასხა, როცა მათ სამხედრო ნაბიჯი გადადგეს. მოსკოვმა ეს საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყების საბაბად გამოიყენაო, თვლის სალომე ზურაბიშვილი: „ეს იყო მიხეილ სააკაშვილისა და მისი პარტიის — „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ჩადენილი უდიდესი დანაშაული და ეს ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს. მიხეილ სააკაშვილის ავანტიურა რომ არ ყოფილიყო, მოსკოვს არაფერი გამოუვიდოდა“.

ანალიტიკოსთა მტკიცებით, მართალია, სალომე ზურაბიშვილი „ქართული ოცნების“ წევრი არ არის, მაგრამ ძალიან ძნელია, მას „დამოუკიდებელი კანდიდატი“ უწოდო. „სალომე ზურაბიშვილმა ბოლო წლებში თავისი მოქმედებით აჩვენა, რომ იგი „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი აგრესიული აქტივისტია და „მეოცნებეთა“ ფიცი-მტკიცი — „არჩევნებში ჩვენი კანდიდატი არ მონაწილეობსო“, დამარწმუნებელი არ არის“, — ციტირებს ავტორი ცნობილი ექსპერტის გია ხუხაშვილის ნათქვამს, რომლის მიხედვით, „ოცნება“ ფსევდოდემოკრატიული სპექტაკლის გათამაშებას ცდილობს“.

თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც: პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი, ექსპერტი კორნელი კაკაჩია თვლის, რომ სალომე ზურაბიშვილი „ქართულ ოცნებას“ და მის ლიდერს ბიძინა ივანიშვილს ყველაფერში არ დაეთანხმება: **„რა იქნება მომავალში, ეს არავინ იცის. მაგრამ იმას კი ვხედავთ, რომ სალომე ზურაბიშვილი კონფლიქტური პიროვნებაა, იგი ადვილად უპირისპირდება სხვებს და თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, იგი „ქართული ოცნებისათვის“ საჩუქარი არ იქნება“,** — ამბობს პოლიტოლოგი.

„სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურა „ქართულ ოცნებაში“ ბევრს არ მოსწონს, მაგრამ რადგანაც საბოლოოდ გადამწყვეტი სიტყვა ბიძინა ივანიშვილმა თქვა, საკითხი ამით დასრულდა“, —აღნიშნავს კორნელი კაკაჩია.

მართალია, პრეზიდენტს კონსტიტუციით უფლებები შეზღუდული აქვს და იგი ქვეყნის პოლიტიკაზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს, ამის მიუხედავად, ოპოზიცია ამ საპრეზიდენტო არჩევნებს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გენერალურ რეპეტიციად მიიჩნევს.

რაში სჭირდება „ქართულ ოცნებას“ სალომე ზურაბიშვილი?

საქმე იმაშია, რომ მმართველი პარტიისთვის მთავარი პრობლემა მათი კანდიდატის წაგება კი არაა, არამედ ოპოზიციური ბლოკ „ძალა ერთობაშიას“ (რომელშიც „ნაცმოძრაობაც“ შედის) კანდიდატის გრიგოლ ვაშაძის საგარაუდო გამარჯვებაა. იქიდან გამომდინარე, რომ რეალურ ალტერნატივად მხოლოდ „ნაცმოძრაობა“ ითვლება, მმართველ პარტიას მათი კანდიდატის გამარჯვების დაშვება არ შეუძლია. თუ გრიგოლ ვაშაძე გაიმარჯვებს, მაშინ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებაც. შესაძლოა, ხანგრძლივი მწვავე პოლიტიკური პროცესი დაიწყოს. გარდა ამისა, შეიძლება მიხეილ სააკაშვილი შეიწყალონ და საქართველოში დაბრუნდეს... და თუ მას ხელები გაეხსნება, ყველაფერი შეიძლება მოხდეს“, — ამბობს გია ხუხაშვილი. ამასთან, იგი იმასაც აღნიშნავს, რომ დღეს ოპოზიციაც და სახელისუფლებო ელიტაც ღრმა კრიზისშია და ამიტომ ქართველი ამომრჩეველი, რომელიც არავის ენდობა, უმეტესად ხმას აძლევს არა იმდენად იდეა-პროგრამებს, არამედ გაკეთებულ გზას, გაზით უზრუნველყოფას, დასაქმებას და ა.შ. „შესაბამისად, ამომრჩევლის ირიბად მოსასყიდად რესურსები, რასაკვირველია, ხელისუფლებას და მის მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს უფრო მეტი აქვს. მას უპირატესობაც უზრუნველყოფილი ექნება“.

ანალიტიკოსების თვალსაზრისით, რომელი კანდიდატიც არ უნდა ყოფილიყო, სალომე ზურაბიშვილი თუ სხვა ვინმე, თუ მას მხარს ხელისუფლება დაუჭერდა, იგი მაინც ფავორიტი იქნებოდა. რაც შეეხება თვითონ „დამოუკიდებელ“ კანდიდატს, მან მმართველი პარტიის გადაწყვეტილება „დემოკრატიულად და ქვეყნისთვის სასარგებლოდ“ მიიჩნია, — ნათქვამია პუბლიკაციის ბოლოს.

„ხალხი ღელავს, კანაფის ბიზნესი მთავრობის ბადეშია“...

მარიხუანას კულტივაციის ეკონომიკური სარგებელი

მარიხუანას მოხმარების ლეგალიზაციის შემდეგ საქართველოში მარიხუანას წარმოების ნების დართვაც გადაწყდა, რაც კანაფის ექსპორტზე გატანასა და ეკონომიკური სარგებლის მიღებას ითვალისწინებს.

ცნობილია, რომ საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც მარიხუანას წარმოებას ნებადართულს გახდის, მთავრობის სხდომაზე, სავარაუდოდ, ახლო მომავალში გავა. ინიციატივის კანონმდებლობაში ასახვამდე საინტერესოა, თუ რომელი ქვეყნები არიან მარიხუანას უმსხვილესი ექსპორტიორები მსოფლიოში და რა ეკონომიკურ სარგებელთან არის ის დაკავშირებული.

დიდ ბრიტანეთში მარიხუანას მოხმარება არალეგალურია, თუმცა სამედიცინო თვალსაზრისით მისი მოხმარება ბრიტანეთში აქტუალურად იქცა. ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო საბჭოს (INCB) ცნობით, დიდ ბრიტანეთში 2016 წელს სამეცნიერო და სამედიცინო დანიშნულებით, 95 ტონა მარიხუანა იქნა მოყვანილი და აქედან დიდმა ბრიტანეთმა ექსპორტზე 2.1 ტონა გაიტანა, რაც საერთო ბაზრის 70%-ს შეადგენდა. მსხვილ ექსპორტიორ ქვეყნებს შორის გაერო ასევე სლოვაკეთს, გერმანიას, შვეიცარიას, იტალიასა და სხვა სახელმწიფოებს გამოყოფს.

საერთაშორისო ორგანიზაციის, Health Poverty Action-ის კვლევის თანახმად, მარიხუანას ლეგალიზაცია დიდ ბრიტანეთს ყოველწლიურად 1-3.5 მილიარდ ფუნტს მოუტანს. ამისი ერთ-ერთი დასტურია გამოკითხვა, რომელიც ცხადყოფს, რომ მარიხუანაზე მოთხოვნა ბრიტანეთში საკმაოდ მაღალია — ბრიტანელების 47% მარიხუანას გაყიდვას ლიცენზირებულ მაღაზიებში ითხოვს. ასევე აღსანიშნავია, რომ კანაფის ლეგალიზაციით დიდი ბრიტანეთი ყოველწლიურად 291 მილიონ ფუნტს დაზოგავს, რომელიც მარიხუანას კულტივაციის დევნისთვის და პატიმრების შენახვისთვის გამოიყენება.

ყოველწლიურად გაერო ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებით კვლევას აქვეყნებს, რომლის ერთ-ერთ ნაწილს მარიხუანას კულტივაციაც წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ კანაფი მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში არალეგალურია, რთულია ზუსტად განსაზღვრა, თუ რომელი ქვეყნები წარმოადგენენ ლიდერებს აღნიშნული მიმართულებით.

გაეროს მონაცემებით, მარიხუანას ტოპ მწარმოებელ ქვეყნების სიაში აშშ ლიდერობს. სიაში ასევე გვხვდებიან მაროკო, ავღანეთი, მექსიკა და სხვ. გაეროს თანახმად, მარიხუანას გაყიდვების მხრივ აშშ-ს ყველაზე დიდი შემოსავალი აქვს: აშშ-ის 9 შტატში კანაფის მოყვანა და მოხმარება, როგორც სამედიცინო, ასევე პირადი მოხმარების სურვილით, ლეგალურია (ალიასკა, კალიფორნია, კოლორადო, მეინი, მასაჩუსეტსი, ნევადა, ორეგონი, ვერმონტი და ვაშინგტონი).

Wall Street-ის ერთ-ერთი ანალიტიკოსი თავის ანგარიშში წერს, რომ მომდევნო 10 წლის განმავლობაში ლეგალური მარიხუანას ბაზარი აშშ-ში 17%-ით, $47 მილიარდამდე გაიზრდება და მძიმე ალკოჰოლის ინდუსტრიას დაეწევა ($58 მილიარდი). პირველ პოზიციას ლუდის ინდუსტრია ($117 მლრდ.) იკავებს, ხოლო შემდეგ პოზიციებზე სიგარეტისა ($77 მლრდ.) და ღვინის ($65 მლრდ.) ინდუსტრიები ლიდერობენ.

გუგა როგავა

შევიცნოთ ბოროტება და არ შევუშვათ ის ჩვენს ოჯახებში!..



განვდევნოთ ის ჩვენი საზოგადოებიდან!

...მათთვის მთავარია, ევროპა ილუზიებიდან არ გამოვიდეს და თუ მაინც გამოვა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების სახელით, უცხოელების დაცვის საბაბით, მზად იქნებიან სისხლში ჩაახრჩონ. ასეთ პოლიტიკოსებს საქართველოში ჩვენი ქვეყნის მეგობრებს ეძახიან. შეუძლებელია, თავისი ქვეყნის მტერი ჩვენი ქვეყნის მეგობარი იყოს.

როდესაც მარიხუანას დამაზიანებელი ზემოქმედების შესახებ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კვლევები სახელმწიფოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის ანგარიშგასაწევი არ არის, ნიშნავს, რომ პოლიტიკაში თავისუფლება და ადამიანის უფლებები ადამიანზე მაღლაა დაყენებული, ადამიანის არსიდან არ გამომდინარეობს და მხოლოდ პოლიტიკით არის განსაზღვრული. თეორიული საფუძვლები ამგვარი პოლიტიკისა, ბუნებრივი ადამიანის მიღმაა, რადგან ახალი ადამიანის შემოქმედი თავად პოლიტიკაა.

ქვას ბუნებრივად ფრენა არ შეუძლია, თუ გავისვრით, ქვა იფრენს, მაგრამ მისი ფრენა ჩვენი ძალადობის შედეგი იქნება, რომელსაც დედამიწის მიზიდულობის ძალა დაასრულებს. ბურთს, რომელიც წყალში ჩემი ძალის დემონსტრირებით დავძირე, როგორც კი ჩემი ძალისგან გავათავისუფლებ, წყლის ამომგდები ძალა მაღლა ამოაგდებს. ადამიანს თუ ისე მოვექცევით, როგორც ქვას ან – ბურთს – იძულებულს გავხდით, იყოს ჩვენი ძალის დემონსტრირების საგანი. ფრენისას ეს ადამიანი თავისუფლების ილუზიურ განცდაში იქნება. ფსიქოლოგები, სუბიექტს ილუზიური განწყობა რომ შეუქმნან, ორივე ხელში სხვადასხვა სიდიდის ბურთებს აძლევენ. 10-15 ექსპოზიციის შემდეგ, კრიტიკული ცდისას, არათანაბარი მოცულობის ბურთებს თანაბარი მოცულობის ბურთებით უცვლიან. როგორც ფსიქოლოგები ასკვნიან, ცალს უჩნდება ილუზია, რომ ხელში კვლავ არათანაბარი ბურთები უჭირავს.

ილუზიები შეიძლება იყოს მოცულობითი, რაოდენობითი, წონის ილუზია, სმენის ილუზია და ა.შ. **დიმიტრი უზნაძე** „განწყობის ფსიქოლოგიაში“ წერს: „არ უნდა შევიტანოთ ეჭვი, რომ შეიძლება ცალს სიტყვიერი ზემოქმედების გზითაც შეუმუშავდეს ფიქსირებული განწყობა; საკმარისია მან 15-ჯერ წარმოიდგინოს განსხვავებული მოცულობის ბურთები, ან ტოლი წრეები, რომ შესაფერი ფიქსირებული განწყობა შეუმუშავდეს, რომელიც მას შემდეგში, დროებით ხელს უშლის კრიტიკული ობიექტები ადეკვატურად აღიქვას.“

უზნაძის „დროებით“ საზოგადოებისთვის, შეიძლება, წლებად იქცეს იმ მიზეზით, რომ დღეს ადამიანი, საინფორმაციო საშუალებების ზემოქმედებით, მუდმივ ექსპოზიციაშია. პოლიტიკური იდეოლოგია ადამიანს მუდმივად განაწყობს იყოს ილუზიებში და მოვლენები არაადეკვატურად აღიქვას; ვიღაც რწმუნდება, რომ მისი უფლებაა იყოს ავადმყოფი, ვიღაც რწმუნდება, რომ მისი უფლებაა განსაზღვროს თავისი სქესი, ვიღაც რწმუნდება, რომ ერი წარსულის გადმონაშთია, ვიღაც რწმუნდება, რომ მშობლების ცხოვრებისეული გამოცდილება ანგარიშგასაწევი არ არის და მათ უფლება არ აქვთ, რჩევები მისცენ შვილებს. მსგავს ადამიანებს უყალიბდებათ წარმოდგენა, რომ უფლებადამცველებს, რომლებიც მათთვის უცხო ადამიანები არიან, სიკეთე უნდათ, ხოლო მშობლები საყვარელ ადამიანებზე თავიანთი შეხედულებებით ძალადობენ. ეს ილუზიებში ცხოვრებაა, რაც აუცილებლად დააზარალებს შვილებს. ქალებს უქმნიან ილუზიებს, რომ სამზარეულოში ტრიალსა და შვილებისთვის კერძის მომზადებას, სჯობს სამსახურში უფროსებს ყავა მოუდუღონ. კაცებს უქმნიან ილუზიებს, თითქოს ქალიშვილის ცოლად მოყვანაზე ფიქრი უფრო სამარცხვინოა, ვიდრე ათჯერ განათხოვარისა და ორმოცდაათ საყვარელგამონაცვალი ქალის ცოლად მოყვანა და ა.შ.

ილუზიებში მყოფი ერთი ქართველი ახალგაზრდა ქალი აფრიკული წარმოშობის ადამიანისა და ქართული ჩოხის შედარებით ცდილობდა ადამიანის უპირატესობა დაემტკიცებინა. როდესაც ორი არათანაწონადი ობიექტის შედარებით გვსურს უპირატესობა რომელიმეს მივანიჭოთ, აზრობრივი კონსტრუქცია მყარი ვერ იქნება. ადამიანი, წარმოშობის მიუხედავად, ქართულ ჩოხაზე ღირებულია, მაგრამ განა ეს ნიშნავს, რომ საკუთარ ეროვნულ სამოსს, კულტურას, თვითმყოფადობას უდიერად მოვექცეთ? ადამიანი უფრო მაღალი ღირებულებაა, ვიდრე ბინა, რომელშიც ეს ილუზიებში მყოფი ქართველი ქალი ცხოვრობს, მაგრამ სისულელე არ იქნება, თუ ზემოთ მითითებული მიზეზის გამო, საკუთარ ბინაზე უარს იტყვის და რომელიმე არაბს, ან აფრიკელს დაანგრევინებს?

ფსიქოლოგიური კვლევებიდან ჩანს, რომ განწყობით გაჩენილი ილუზიები ქრება, საინფორმაციო საშუალებები, როგორც არ უნდა ჭექდეს და ქუხდეს, ერთ დღეს ადამიანები ილუზიებიდან გამოვლენ და დაინახავენ, რომ თავისუფლების სახელით თავისუფლება დაკარგეს, ადამიანის უფლებების სახელით უფლებები დაკარგეს. ავადმყოფი ადამიანის უმთავრესი უფლებაა გახდეს ჯანმრთელი. როდესაც ნარკომანის პოზიციაზე ვართ, გვიჩნდება აზრი, რომ ნარკომანს ნების გამოხატვის უფლება აქვს, გვგონია, რომ ეს მისი თავისუფლებაა და ვასკვნით: ნარკოტიკი ლეგალიზებული უნდა იყოს, რათა ნარკომანმა ნების გამოხატვა შეძლოს. როდესაც ჯანმრთელი ადამიანის პოზიციიდან ვმსჯელობთ, ჩვენი ლოგიკა ღვთაებრივია. ღვთაებრივი ლოგიკის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სიკეთე მსჯელობის ობიექტისკენ – ადამიანისკენ არის მიმართული. სატანურ ლოგიკაში სიკეთე ადამიანიდან ნარკომანზეა გადამისამართებული, საიდანაც ადამიანს სიკეთე ბოროტებად უბრუნდება.

როდესაც უფლებათა დამცველი ნარკომანის პოზიციაზეა, მისი ლოგიკა სატანურია და გაცნობიერებული აქვს თუ არა, ბოროტებას ემსახურება. ადამიანის პოზიციაზე მყოფი უფლებათა დამცველი პარლამენტისგან ისეთი კანონის მიღებას უნდა მოითხოვდეს, რომელიც ნარკომანს მკურნალობას აიძულებს. კანონი იძულებითი მკურნალობის შესახებ თუ არ შესრულდა, ნარკომანი ამ კანონის შეუსრულებლობისთვის უნდა დაისაჯოს. ამ დროს თავისუფლებაზე და უფლებაზე საუბარი სიბრიყვეა, რადგან ნარკოტიკზე მიჯაჭვულს თავისუფლება დაკარგული აქვს, ხოლო ადამიანის მთავარი უფლებაა, იყოს ჯანმრთელი. უფლებათა დამცველი მის ამ უფლებას უნდა იცავდეს.

სქესობრივი ანომალიები 21-ე საუკუნის მოვლენები არ არის. უხსოვარი დროიდან ჩნდებოდნენ კაცები ქალის სხეულით და ქალები კაცის სხეულით. უფლებათა დამცველები ქუჩებში პროპაგანდისტულ მსვლელობებს კი არ უნდა აწყობდნენ და ამ ადამიანებს ილუზიურ განწყობებს უქმნიდნენ, არამედ ბუნებრივი შეშლილობიდან გამოსვლაში ეხმარებოდნენ; ზრუნავდნენ, **რათა შეიქმნას სქესობრივი ანომალიების ცენტრი, სადაც სპეციალისტები გამოიკვლევენ, დაადგენენ და ქირურგიული ჩარევით აღადგენენ ადამიანის უფლებას, კაცი იყოს კაცის სხეულში – და ქალი იყოს ქალის სხეულში.** ეს გახლავთ უფლებათა დამცველების ზრუნვა ადამიანზე, ხოლო, რასაც ქუჩებში მათი დემონსტრირებით აკეთებენ, დაცინვაა ასეთი ადამიანებისა.

რაც შეეხება ადამიანთა იმ კატეგორიას, რომლებიც სქესობრივი ანომალიებით დაბადებულები არ არიან, კაცი კაცის სხეულშია, მაგრამ კაცს მიელტვის, ქალი ქალის სხეულშია, მაგრამ ქალს მიელტვის, მათ ქმედებას ბუნებრივი საფუძველი არ გააჩნია, მსგავსი ლტოლვის საფუძველი გარყვნილებაა. საერთაშორისო ქსელში მოქცეული უფლებათა დამცველები ასეთ ადამიანებს ცხოვრებას უნგრევენ. გარყვნილება ადამიანის არც უფლებაა და მით უმეტეს, არც თავისუფლება.

სამწუხაროდ, ილუზიური განწყობები შეუქმნეს ჟურნალისტებსაც, რომლებიც თავისუფლების სახელით ამორალურ ადამიანებს ტელეეკრანებიდან გაშიშვლებული უკანალებით პოზირებაში ხელს უწყობენ.

ადამიანის ბუნებრივი უფლებაა, უყვარდეს საწინააღმდეგო სქესის ადამიანი, მასთან ერთად შექმნას ოჯახი და ჰყავდეს თავისი გენის მატარებელი შვილი. ეს ჯანმრთელი ადამიანის უფლებაა. მსგავსი უფლებები ადამიანის უფლებათა დამცველების ნუსხაში არ არის. სამაგიეროდ, გავლენას ახდენენ კანონშემოქმედებაზე და ახერხებენ ცოლ-ქმარს მისცენ კანონიერი უფლება, იყოლიონ პარტნიორები სექსში. ვინ მისცა პარლამენტს უფლება, კანონებით ჩაერიოს ცოლისა და ქმრის სექსუალურ ურთიერთობებში? ვის ინტერესშია ოჯახის მიმართ ძირგამომთხრელი ქმედება? ვის ინტერესებშია დაკანონება უფლებისა, რომელიც ადამიანს უბიძგებს საყვარელი ადამიანისადმი ღალატს? სახელმწიფოს ღალატი დანაშაულია, ხოლო მეუღლის ღალატი უფლებაა?!.. აი, მაგალითი იმისა, როგორ არის შესაძლებელი, პოლიტიკურმა იდეოლოგიამ ბოროტება სიკეთის ილუზიად აქციოს; ღალატი ერთმნიშვნელოვანი ბოროტებაა, უფლება – სიკეთე. ღალატის უფლებით ხდება ბოროტების აღზევება სიკეთის ილუზიად.

ნათქვამის საბუთად კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან: ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ეთერიდან ევროკავშირის ერთ-ერთი ჩინოსანი ამბობდა, საქართველომ უნდა შეასრულოს ვალდებულება და მიწის რეფორმა ჩაატაროსო. მიწის რეფორმა საქართველოში 90იანი წლების დასაწყისში ჩატარდა. ჩინოსანი მიგვანიშნებდა მიწების უცხოელებზე გაყიდვის დაშვებაზე. რატომ უნდა გაუჩნდეს ევროპელ პოლიტიკოსს ასეთი ინტერესი?... პასუხი რომ გავცეთ, კიდევ ერთი ევროპელი პოლიტიკოსის ნათქვამი მოვიშველიოთ, რომელმაც იმავე ტელეეკრანიდან განაცხადა, ევროპას სისხლის გადასხმა სჭირდებაო და დადებით მოვლენად აღიარა, მიგრანტების ევროპაში მიღება და დასახლება. თუ რომელიმე საიდუმლო ძალას ევროპაში ლტოლვილების დასახლება განუზრახავს, მასვე უნდა ეკუთვნოდეს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში ლტოლვილთა წარმოქმნის იდეაც. მოთხოვნილება საქონელმა უნდა შეავსოს. ლტოლვილთა წარმოქმნა ეკონომიკური და საომარი ფაქტორებით არის შესაძლებელი, მთავარია პროცესი დიდი გულამაჩუყებელი განცხადებებით გადაიფაროს და ევროპული ქვეყნები აიძულონ მიიღონ ლტოლვილთა ნაკადები.

როდესაც ევროპაში უცხოელთა შემოსახლებით პოლიტიკოსები არიან დაინტერესებული, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ევროპული ერების ილუზიებიდან გამოსვლის შიში აქვთ. უცხოელები მათთვის ძალაა, რომელსაც ევროპული ერების სამართლიან მოთხოვნებს დაუპირისპირებენ; კარგად იციან, საბჭოთა კავშირის დაშლაში რა როლი შეასრულა ერების საბჭოთა ილუზიებიდან გამოსვლამ. **მათთვის მთავარია, ევროპა ილუზიებიდან არ გამოვიდეს და თუ მაინც გამოვა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების სახელით, უცხოელების დაცვის საბაბით, მზად იქნებიან, სისხლში ჩაახრჩონ. ასეთ პოლიტიკოსებს საქართველოში ჩვენი ქვეყნის მეგობრებს ეძახიან. შეუძლებელია, თავისი ქვეყნის მტერი ჩვენი ქვეყნის მეგობარი იყოს.**



ჯუმბერ სარდლიშვილი,
ტ. 599 24-40-28

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

„მოდის თაობა უფრო თამამი, უფრო გაბედული და ღირსეული!..“

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს გურამ ლორთქიფანიძეს 80 წელი შეუსრულდა.

ის დაიბადა ბათუმში 1938 წლის 14 სექტემბერს. სწავლობდა ბათუმის №1 საშუალო სკოლაში, რომელიც გამოირჩეოდა მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით და ეროვნული ტრადიციების პატივისცემის სულისკვეთებით. სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილი გახლდათ ლიტერატურული საღამოები, სპორტული შეჯიბრებები და შემეცნებითი ექსკურსიები — ისტორიული ძეგლების, კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა. დიდი ყურადღება ექცეოდა ღია გაკვეთილების ჩატარებას ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ყველაფერმა ამან განაპირობა ის გარემოება, რომ თბილისის 68-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მან სწავლა განაგრძო ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე არქეოლოგიის სპეციალობით. აქ მისი პედაგოგები იყვნენ აკად. ა.ვ. არციხოვსკი, აკად. ბ.ა. რიბაკოვი, აკად. ს.ვ. კისელიოვი, აკად. დ.გ. ლიანინი, პროფ. ვ.დ. ბლავატსკი, პროფ. ბ.ნ. გრეკოვი, პროფ. დ.ა. ავდუსინი, პროფ. კ.ვ. გოლენკო და სხვ. მათი ხელმძღვანელობით ის დაეუფლა არქეოლოგიისა და ზოგადად ანტიკური ნუმიზმატიკის საფუძვლებს. როგორც აღნიშნულია მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში (იხ. 69 лет кафедре археологии МГУ им. М. В. Ломоносова, Москва, 1999, გვ. 262), ის 22 გამოშვების არქეოლოგი დიპლომანტი გახლდათ. გ.ლორთქიფანიძე მონაწილეობდა უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მუშაობაში. გამოაქვეყნა რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი სტუდენტ არქეოლოგთა საკავშირო სამეცნიერო კრებულში, სადაც გამოქვეყნდა თსუ სტუდენტების როინ მეტრეველის და ზურაბ ჟვანიას სტატიები. მონაწილეობა მიიღო სიმფეროპოლის, დონუზლავის, აგრეთვე საქართველოში წოვის, ბიჭვინთის, ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციებში, რამაც განაპირობა მისი შემდგომი სამეცნიერო ინტერესები.

1961 წლის დეკემბერში აკად. ნ. ბერძენიშვილის ბრძანებითა და პროფ. ნ. სტურუას წარდგინების საფუძველზე ის უკონკურსოდ დაინიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.

საინტერესო მოგონებები აქვს გ. ლორთქიფანიძის სტუდენტური წლების შესახებ აკად. გ. ჩიტაიას (იხ. „ჩემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე“, თბ., მეცნიერება, 1991, გვ. 84). ის აღნიშნავს: 1960 წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტარდებოდა ორიენტალისტთა მსოფლიო კონგრესი, სადაც განსაკუთრებული სტატუსით იყო წარმოდგენილი ქართული ეთნოგრაფიული სკოლა თავისი სტენდებით, წიგნების გამოფენით და ხალხური სიმღერების ჩანაწერებით. გამოფენის მოწყობაში ქართველი მოსკოველი სტუდენტები გვეხმარებოდნენ, „განსაკუთრებით მეხმარებოდა გ. ლორთქიფანიძე“. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო აკად. გ. ჩუბინაშვილის წიგნი „ქართული ჭედურობა“, რომლის კრიტიკა ქართული ჭედური ხატების პუბლიკაციების გამო პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე, გაზეთ „პრავდაში“ და სხვ. მკაცრად გაისმა. კონგრესის გახსნას დაესწრნენ მაშინდელი სსრკ მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელები და პოლიტბიუროს სხვა წევრები. მათი ყურადღება ფოიეში მოწყობილმა ქართულმა ეთნოგრაფიულმა კუთხემ, წიგნების გამოფენამ და ქართულმა მრავალხმიანმა სიმღერებმა მიიპყრო. ანასტას მიქოიანმა დიდხანს ათვალიერა დიდი ინტერესით გ. ჩუბინაშვილის პოლიგრაფიულად მაღალ დონეზე გამოცემული წიგნი... „სტუდენტ გურამ ლორთქიფანიძეს უთქვამს, ამ წიგნს აკრიტიკებენო“. ა. მიქოიანს უპასუხია — „კრიტიკა, ჩაივლის, კარგი წიგნი დარჩებაო“. აკად. გ. ჩიტაიას დასკვნით, სტუდენტი „ძალზე კარგია, მაგრამ როგორ გაბედა სტუდენტმა ლორთქიფანიძემ ასეთი გაბედული ნაბიჯი იმ დროს. ეტყობა, თამამიც იყო და კარგადაც გამოუვიდა“. „მოდის თაობა უფრო თამამი, უფრო გაბედული და ღირსეული, ამინ!“ ასე შეაფასა დიდმა ქართველმა მეცნიერმა აკად. გიორგი ჩიტაიამ 60-იანელთა თაობის მნიშვნელობა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მან 1961 წელს გურამ ლორთქიფანიძე ჩარიცხა ხევის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში და პირველი ხელფასი მისცა.

ამგვარად, გ. ლორთქიფანიძე, რომელსაც ტოვებდნენ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის არქეოლოგიის კათედრაზე ასპირანტურაში მოსამზადებლად, საქართველოში დაბრუნდა. 1965 წელს, პროფ. ვ.დ. ბლავატსკის ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „კოლხეთი ძვ.წ. II-I სს.“, რის საფუძველზეც გადაიყვანეს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე.

1970 წელს გამომცემლობა „განათლებამ“ გამოაქვეყნა მისი პირველი მონოგრაფია „ძველი კოლხეთის ისტორიისათვის“, რომლის სამეცნიერო რედაქტორი გახლდათ აკად. გ. მელიქიშვილი. წიგნი, რომელშიც გაანალიზებული იყო ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის უახლესი აღმოჩენები, მიეძღვნა პირველი ქართველი არქეოლოგი ქალის ნინო ხოშტარიას ხსოვნას. 1978 წელს „მეცნიერებამ“ გამოსცა გ. ლორთქიფანიძის სადოქტორო დისერტაცია „კოლხეთი ძვ.წ. VI-II სს.“ აკადემიის წევრ-კორ. დ. ხახუტაიშვილის რედაქტორობით, რომელზეც დადებითი რეცენზიები გამოქვეყნდა რუსეთსა და უკრაინაში.

1977 წლიდან გურამ ლორთქიფანიძე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯერ საქართველოს ისტორიის, შემდეგ კი არქეოლოგიის კათედრის პროფესორია. აქტიურად მონაწილეობს მთელი რიგი არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობაში (ვანი — დაფნარი, ჭალადიდი, მცხეთა). მოხსენებებით გამოდის საერთაშორისო კონფერენციებზე ინგლისში, გერმანიაში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, რუსეთსა და უკრაინაში. 1974-2000 წწ. აკად. ა. აფაქიძის დავალებით გ. ლორთქიფანიძე სათავეში ედგა დიდი ტრადიციების მქონე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის — ბიჭვინთის არქეოლოგიურ ექსპედიციას, სადაც მისი ძალისხმევით აიგო თსუ სასწავლო ბაზა. აქ ქართველ და აფხაზ სტუდენტებთან ერთად საველე პრაქტიკას გადიოდნენ გერმანიის, კერძოდ, იენის უნივერსიტეტის სტუდენტები პროფ. ანი გრეტ ლიუნგ. პლონკტეს ხელმძღვანელობით. 1979 წელს მან აკად. რ. გორდეზიანის სამეცნიერო რედაქტორობით გამოსცა მონოგრაფია „ბიჭვინთის ნაქალაქარი“, რომელშიც ახლებურად გაშუქდა ამ უძველესი ნაქალაქარისა და დასავლეთ საქართველოს დიდი საეკლესიო ცენტრის, რომაული კასტელუმისა და მისი კანაბეს სამოქალაქო დასახლების ისტორია.

1985-2005 წწ. პროფ. გ. ლორთქიფანიძე იყო თსუ უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და გადამზადების ფაკულტეტის დეკანი, მისი ინიციატივით თსუ ისტორიის ფაკულტეტზე დაფუძნდა „კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა“. „ამით, როგორც ამას აღნიშნავს აკად. რ. გორდეზიანი, მან საფუძველი ჩაუყარა ისტორიული კულტუროლოგიის კვლევას“ (იხ. კრ. კულტურულ-საისტორიო ძიებანი, თსუ გამომცემლობა, 2010, გვ. 15). თავის ახალგაზრდა თანამშრომლებთან და მოწაფეებთან ერთად შექმნა ორიგინალური საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები „ქართული კულტურის ისტორიასა“ (რედაქტორი აკად. ვ. ბერიძე) და „კულტუროლოგიაში“ (რედაქტორი პროფ. ლ. გორდეზიანი), რომლებიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და სპეციალისტების რამდენიმე თაობა აღზარდა. დაწყებულია მუშაობა პროფ. ნ. ჩიქოვანთან ერთად „ქართული კულტურის ისტორიის“ ახალ გამოცემაზე, რომელიც ჯერ კიდევ 1984 წელს გამოაქვეყნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა იუნესკოს დაფინანსებით. 1985 წელს აღნიშნულმა სახელმძღვანელომ საუნივერსიტეტო პრემია მოიპოვა. თსუ გამომცემლობამ დაბეჭდა გ. ლორთქიფანიძის დამხმარე სახელმძღვანელო გ. გერაძესთან თანაავტორობით „კულტუროლოგია ყმაწვილთათვის“, სამი ნაწილი. თბ., 2011, 2014, 2017 (ძველი აღმოსავლეთი, საბერძნეთი, რომი), რომლებიც პოპულარობით სარგებლობენ სტუდენტ-ახალგაზრდობაში.

გ. ლორთქიფანიძემ გამოაქვეყნა 12 მონოგრაფია და 250 სამეცნიერო წერილი საქართველოში თუ საზღვარგარეთ. იგი ავტორია ნარკვევისა „ქართული ანტიკური ხანის ისტორიოგრაფია“, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ „მაცნეს“ სამ ნომერში დაიბეჭდა 2014-2015 წწ. გ. ლორთქიფანიძე აღნიშნული სამეცნიერო პერიოდიკის (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების სერიის) სარედაქციო კოლეგიის წევრია. გარდა ამისა, ის არის საქართველოში გამომავალი არქეოლოგიური ჟურნალების და პოლონური ქართველოლოგიური ჟურნალის „პროგეორგიას“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, ოდესის არქეოლოგიური საზოგადოების წევრი და იუდაიკის მასწავლებელთა მოსკოვის საერთაშორისო საზოგადოების „სეფერის“ აკადემიური საბჭოს წევრი.

1987-1988 წწ. გ. ლორთქიფანიძე ხანგრძლივი ვადით ვულბრატიტის ფონდით იმყოფებოდა აშშ ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, 1990 წელს მაის-ივნისში სლოვაკიაში, კარდელის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე.

გ. ლორთქიფანიძე დღემდე მუშაობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორად და ჰუმანიტარული ფაკულტეტის ისრაელის ცენტრის ხელმძღვანელად, კითხულობს ლექციების კურსს ანტიკურ და ბიბლიურ არქეოლოგიაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო ქართული კულტურის ისტორიის საკითხებს — ანდრია პირველწოდებულის სახელობის საქართველოს საპატრიარქოს უნივერსიტეტში. მისი აღზრდილია მთელი პლეადა ახალგაზრდა მეცნიერებისა (პროფ. ზ. კვიციანი, პროფ. მ. მშვილდაძე, პროფ. დ. ლომიტაშვილი, პროფ. ე. ავალიანი, დოქტ. ი. ოფირი (ისრაელი), დოქტ. მ. დათუკიშვილი და სხვები), რომლებიც წარმატებით იღვწიან ქართული არქეოლოგიის სასიკეთოდ.

ბატონ ბადრი პატარკაციშვილთან და სხვა საზოგადო-პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად გ. ლორთქიფანიძე ითვლება თბილისის ებრაელთა სათემო სახლის ერთ-ერთ დამფუძნებლად. აქტიურად მონაწილეობს ებრაული დიასპორის ცხოვრების ამსახველი უცნობი საარქივო მასალების გამოვლენასა და გამოქვეყნებაში.

გ. ლორთქიფანიძე დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, ივ. ჯავახიშვილის, ე. თაყაიშვილისა და მ. ლერმონტოვის მედლებით; არჩეულია ქ. ბათუმის საპატიო მოქალაქედ და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

დიდი ისტორიკოსის სახელობის ქუჩა

თბილისში, საბურთალოზე სპორტის სასახლესთან მდებარე ერთ-ერთ უსახელო ქუჩას გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, აკადემიკოს მარიკა ლორთქიფანიძის სახელი მიენიჭა. ქალბატონი მარიკას სახელს უკავშირდება არაერთი ისტორიული ფაქტის ახლებურად, დასაბუთებულად წარმოჩენა, უამრავი ისტორიკოსისა და წარმატებული თაობის აღზრდა. აღსანიშნავია, რომ ამერიკის ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა მას მიანიჭა „მეორე ათასწლეულის ღირსების მედალი“.

ჭია, რომელიც აბრეშუმით გვმოსავს...

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას

თქვენი გაზეთის 2018 წლის 21 აგვისტოს №166(8567) ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „მეაბრეშუმეობა ეროვნული მეწარმეობის ტრადიციულ დარგად უნდა დარჩეს“ გამოქვეყნებულ მოსაზრებებს, დასკვნებს, შემოთავაზებულ რეკომენდაციებს მხარს ვუჭერთ და გაგაცნობთ ჩვენს მოკრძალებულ წვლილს საქართველოში მეაბრეშუმეობის აღდგენის საქმეში.

საქართველოში მეაბრეშუმეობა ყოველთვის განიხილებოდა, როგორც მეწარმეობის ტრადიციული დარგი და იგი იყო მიწისა და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების, სავალუტო შემოსავლების გადიდების წყარო, ერის კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში და მუდმივი ზრუნვის საგანი. აბრეშუმის პარკის წარმოება, გადამუშავება და ქსოვა ყველაზე პრესტიჟულ საქმედ ითვლებოდა.

აჭარაში მეაბრეშუმეობის განვითარებას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს, რომელიც ძირითადად 1896-1900 წლებიდან იწყება. აღნიშნულ პერიოდში მეაბრეშუმეობა მყარად იკავებდა ადგილს მოსახლეობის შემოსავლების ზრდაში.

ბოლო წლებში ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მოსახლეობისთვის ერთ დროს მომგებიანი დარგი – მეაბრეშუმეობა, საზოგადოებრივი მეურნეობების მოშლასთან ერთად მთლიანად განადგურდა. გასულ საუკუნეში აჭარაში იწარმოებოდა 20 ტონა აბრეშუმის პარკი (1,0 კგ აბრეშუმის პარკი 8,0-12,0 ლარი), დღევანდელი საბაზრო ფასებით კი მისი ღირებულება 160-240 ათასი ლარია. აბრეშუმის პარკის წარმოება (ერთი გამოკვებით) შემოსავალს იძლევა გაზაფხულზე და მთლიანი საწარმოო ციკლი 35-40 დღეს მოიცავს. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ორი შრომისუნარიანი წევრისგან შემდგარ ოჯახს შესაბამისი თუთის ნარგაობით (0,6-0,7 ჰა) შეუძლია 35-40 დღის განმავლობაში აწარმოოს 40 კგ ნედლი აბრეშუმის პარკი (რაც საშუალოდ 400 ლარის ტოლფასია) და 4,5-5,0 კგ აბრეშუმის ძაფი (ღირებულება საშუალოდ 800 ლარი).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ ბაზაზე განახორციელა პროექტი, რომლის მიზანი იყო მეაბრეშუმეობის დარგის აღდგენის ხელშეწყობა, აბრეშუმის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, საჭირო ინფრასტრუქტურით აღჭურვილი საწარმოს შექმნა და აბრეშუმის მიღების მთლიანი ციკლის წარმოჩენა.

დავიწყეთ ნედლეულის წარმოების ბაზის შექმნით. ამ მიზნით გვარას საჩვენებელ ნაკვეთში 0,2 ჰექტარ ფართობზე გაშენებული იქნა 130 ძირი თუთის მაღალმოსავლიანი ჯიშები და მოეწყო თუთის სანერგე.

აღმოჩნდა, რომ დღევანდელ პირობებში ნამყენი ნერგის წარმოება უდიდეს სირთულეებთან (განადგურებულია საკალმე-სადედე, სათესლე-სადედე ნარგაობა) არის დაკავშირებული და თვითღირებულებაც უაღრესად მაღალია, ამიტომ ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით უნდა გამოვიყენოთ საკუთარფესვიანი ნერგის (ხსნარში ან გამთბარ გრუნტში დაფესვიანებული კალმები) წარმოების მეთოდი. საკუთარფესვიანი თუთის მცენარეები ინარჩუნებენ ჯიშურ ნიშან-თვისებებს და „ნაცნობ“ გარემოში კარგად გრძნობენ თავს. ამასთან, სარგავი მასალის გამოზრდის დრო, სულ მცირე 2 წლით მცირდება და რენტაბელობა 100-200 %-ის ფარგლებში მერყეობს. ამასთან, საკუთარფესვიანი ნერგისთვის დამახასიათებელია ფართო და გრძელვარჯიანი ფესვთა სისტემა, რაც განაპირობებს მცენარის მყარად დგომას, საკვების კარგად ათვისებას და, რაც მთავარია, ეროზიული მოვლენების საწინააღმდეგოდ გამოყენებას.

მიუხედავად თავისი საწარმოო ციკლის მოკლე პერიოდისა, აბრეშუმის ძაფის მიღება დაკავშირებულია გარკვეულ სიძნელეებთან. მეაბრეშუმეობა ძალზე შრომატევადი დარგია, მაგ. 100 კილოგრამი (1,0 ც) აბრეშუმის პარკის მისაღებად საჭიროა 600-700 კაცსაათი. ამ დარგში მექანიზაციის დონე დაბალია.

მოინახა გამოსავალიც. ჩვენს შემთხვევაში ჭიის საკვების მომზადებისათვის გამოვიყენეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში დამუშავებული თუთის ტოტებიდან ფოთლების გამცლელი მანქანა და ფოთოლსაჭრელი დანადგარი, რომლებიც გაცილებით აიოლებენ ამ მეტად შრომატევად პროცესს და მინიმუმამდე ამცირებენ შრომით დანახარჯებს.

ასევე თუთის აბრეშუმხვევიას ხელით გამოკვების დროს ყველაზე უფრო გავრცელებული იყო მათი განთავსება იარუსიან თაროებზე. ამ ტიპის დანადგარების უარყოფით მხარეს წარმოადგენს თუთის აბრეშუმხვევიას დიდი გადაადგილებები და ნაძირის გამოცვლის დროს მათი საგრძნობი დანაკარგები, აგრეთვე სასარგებლო ფართის არა რაციონალური გამოყენება. აკადემიის რეკომენდაციით გამოვიყენეთ სპეციალური მოწყობილობა – იარუსებიანი თაროები, რომლებზეც შესაძლებელია განლაგდეს ნებისმიერი ასაკის თუთის აბრეშუმხვევია. ასეთ გამოსაკვებ მოწყობილობაზე თუთის აბრეშუმხვევიას დანაკარგებს არა აქვს ადგილი, ნაძირის გამოცვლაც გაადვილებულია, რაც ხელს უწყობს ჭიების დაავადებების თავიდან აცილებას.

ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის სანერგე მეურნეობის სპეციალურად მოწყობილ საჭიეში მიმდინარე წლის 2 მაისს შემოტანილი იქნა 10 გრამი გრენისაგან 2018 წლის 24-25 აპრილს მიღებული აბრეშუმის ჭია, რომელმაც გაიარა ზრდა-განვითარების სრული ციკლი (ხუთი ასაკი) და უკვე მე-40 დღეს მოხდა ცახებიდან პარკის გამოკრეფა. ხოლო მომდევნო 10 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ნედლი პარკიდან ძაფის ამოხვევა მარტივი ტიპის ძაფსაღებ დანადგარზე.

საბოლოოდ 10 გრამი გრენისგან მიღებული იქნა 17,0 კგ პარკი, აქედან 14,0 კგ სტანდარტული, 2,5 კგ წუნი, 0,5 კგ ჩხარი. 14,0 კგ პარკიდან მიღებული იქნა 1,5 კგ აბრეშუმის ხამი ძაფი, დარჩენილი 2,5 კგ წუნიდან მიღებული იქნა აბრეშუმის ბამბა.

აჭარის სოფლების (სადაც 57000 კომლი ცხოვრობს) დაახლოებით მესამედმა (20 000) ამჟამად გამოუყენებელი ფართობების ათვისებით, რომ გააშენოს საშუალოდ 50 ძირი თუთის ნერგი, მთლიანობაში გვექნება დაახლოებით 1 000 000 ძირი თუთის ნერგი. თითოეულ ოჯახს 50 ძირი თუთის ხიდან შეუძლია 250-300 კგ ფოთლის მიღება, რაც საკმარისია 15-16 კგ ნედლი პარკის მისაღებად.

პირველ ხანებში გრენის შემოტანა იქნება საჭირო, რაც არ არის დაკავშირებული ტრანსპორტირების დიდ ხარჯებთან.

აბრეშუმის ჭიის გრენის იმპორტი შეიძლება შავი, კასპიის ზღვებისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების მეაბრეშუმეობის ასოციაციის (BACSA) ქვეყნებიდან განხორციელდეს საბაზრო კონიუნქტურისა და კოოპერაციის შესაბამისად.

ასე რომ, აჭარაში მეაბრეშუმეობის, როგორც მეწარმეობის ტრადიციული ნაირსახეობის აღდგენის პირობები ფაქტობრივად შექმნილია. ამასთან, გასათვალისწინებელია მისი განვითარების მასშტაბი. მეაბრეშუმეობა, ალბათ, აჭარის პირობებში ბიზნესის წამყვანი სფერო ვერ იქნება, მაგრამ იგი საკარმიდამო მეურნეობის რესურსული პოტენციალის გამოყენებით, სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო გახდება და საკუთარ წვლილს შეიტანს თანამედროვე პირობებში მოსახლეობის სიღარიბის დაძლევაში.

პაგივისცემით

ზაურ ფუტკარაძე,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აჭარის სამეცნიერო საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი;

გოჩა ბერიძე,
ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ დირექტორი

მსოფლიოს ყველაზე მსხვილი მევალეები

მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთავრობების მიერ აღებული ვალის საერთო მოცულობა $63 ტრილიონს აჭარბებს. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემებით, საერთო მოცულობაში ყველაზე დიდი წილი ამერიკის შეერთებულ შტატებს უკავია. 2001 წელს აშშ-ის სახელმწიფო ვალი $6.9 ტრილიონს შეადგენდა, რაც იმდროინდელი მშპ-ს 54% იყო, სადღეისოდაკი ქვეყნის ვალი $20 ტრილიონს აღემატება და მისი ეკონომიკის 107%-ია. ეს კი მსოფლიოს მთლიანი ვალის დაახლოებით 31%-ია.

მსოფლიოს საერთო ვალის ყველაზე დიდ წილს შემდეგი ქვეყნები იკავებენ:

ამერიკის შეერთებული შტატები:

ვალის მოცულობა: $19.9 ტრილიონი; მსოფლიოს საერთო ვალის 31,8%; ვალის თანაფარდობა ქვეყნის მშპ-სთან – 107.1%.

იაპონია:

ვალის მოცულობა: $11.8 ტრილიონი; მსოფლიოს საერთო ვალის 18,8%; ვალის თანაფარდობა ქვეყნის მშპ-სთან – 239.3%

ჩინეთი:

ვალის მოცულობა: $4.9 ტრილიონი; მსოფლიოს საერთო ვალის 7.9%; ვალის თანაფარდობა ქვეყნის მშპ-სთან – 44.3%

იტალია:

ვალის მოცულობა: $2.4 ტრილიონი; მსოფლიოს საერთო ვალის 3.9%; ვალის თანაფარდობა ქვეყნის მშპ-სთან – 132.6%

საფრანგეთი:

ვალის მოცულობა: $2.3 ტრილიონი; მსოფლიოს საერთო ვალის 3,8%; ვალის თანაფარდობა ქვეყნის მშპ-სთან – 96.3%.

გამოდის, რომ მსოფლიოს 5 ქვეყნის სახელმწიფო ვალი მთლიანი მოცულობის 66%-ს იკავებს. რაც შეეხება იმ ქვეყნებს, რომელთა ვალის მოცულობაც ქვეყნის მშპ-ს ყველაზე დიდ წილს შეადგენს, მათი ხუთეული შემდეგია:

საბერძნეთი:

ვალის მოცულობა – $353 მილიონი; მსოფლიოს საერთო ვალის 0.6%; ვალის თანაფარდობა ქვეყნის მშპ-სთან – 181.6%

ლიბანი:

ვალის მოცულობა – $75 მილიონი; მსოფლიოს საერთო ვალის 0.1%; ვალის თანაფარდობა ქვეყნის მშპ-სთან – 148.7%

პორტუგალია:

ვალის მოცულობა: $267 მილიონი; მსოფლიოს საერთო ვალის 0.4%; ვალის თანაფარდობა ქვეყნის მშპ-სთან – 130.3%

BM.GE

გადახედვა სჭირდება პანთეონის სტატუსს

1982 წლის 10 აგვისტოს მთაწმინდის პანთეონს რომ აკითხავდა რეზო ჭეიშვილი, დიდი ხანია, იქ აღარ ყოფილიყო, შესაძლოა ერთი წელიც, და გალამაზებული, თითქოს მოვლილი მოეჩვენებოდა იქაურობა... მაგრამ საშინელი უგემოვნების დაღი კი აჩნდებოდა ყველაფერს.

ის ძველი ძეგლებიც, გიორგი ერისთავისა და დიმიტრი ყიფიანის, არ ვარგოდა. ილია ჭავჭავაძისა და ალექსანდრე გრიბოედოვის საფლავები თუ ჰგავდა რაღაცას.

და ჩაინიშნავდა დღიურში, ოდესმე „გადანახული ჩანაწერების“ სახელწოდებით რომ უნდა გამოქვეყნებულიყო:

— მეორედ, ყოველ შემთხვევაში ცოცხალი, იქ აღარ ავალ, ისეთ ცუდ ხასიათზე დავდექი.

უმთავრესი მიზეზი მაინც ის იქნებოდა, რომ:

ნაძირალები განისვენებდნენ წმინდანებთან.

მამა აბრაამის ბატკანი შესაძლოა არავინ იყო, მაგრამ მაინც გასაწმენდად, მოსამარგლად, გამოსათოხნად მიიჩნევდა იქაურობას, ერთი კაცის უზარმაზარ საფლავს მაინც მთლად რომ წაებილწა.

არც ეკლესია წარმოადგენდა რაიმეს. უხიაგი ხალხიც — ყველა არა — უნდა ყოფილიყო დაკრძალული საკურთხეველში — ადგილი გახლდათ მშვენიერზე მშვენიერი.

და როგორ არ დანანებოდა:

რა კარგად შეიძლება მართლაც იქაურობის მოვლა-გაპატიოსნებაო.

მის ნებაზე რომ ყოფილიყო, დატოვებდა:

ილია ჭავჭავაძეს, ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, დიმიტრი ყიფიანს, ტერენტი გრანელსა და... კიდევ რამდენიმეს.

თუნდაც:

რაფიელ ერისთავს, ნიკო ნიკოლაძეს, ზაქარია ფალიაშვილსა და კოტე მარჯანიშვილს...

კიდევ შეიძლებოდა.

სია არასრული რომ გახლდათ ნაუცბათეობის კვალობაზე, დაფიქრება იქნებოდა საჭირო, ხოლო ჩამოსათრევ-ჩამოსაყრელთ ადვილად მიაგნებდნენ უიმისოდაც.

ნაძირალები განისვენებენ წმინდანებთანო...

ერთი კაცის უზარმაზარ საფლავს მაინც მთლად წაებილწა იქაურობაო...

დღიურშიც მოერიდებოდა რეზო ჭეიშვილი იმ „მთლად წამბილწველის“, წმინდანის გვერდით დასაფლავებული იმ „ნაძირალას“ ხსენებას, რომლის ვინაობა ისედაც საცნაური გახლდათ ყველასათვის, თავისებურ სიმბოლოდ რომ წარმოდგებოდა მისი საფლავი მთაწმინდის ღირსების შებღალვისა.

და არც კონსტანტინე გამსახურდიას სჭირდებოდა გაშიფრვა, ისედაც ყველა ადვილად მიუხვდებოდა ნართალს, მოყვარეცა და მტერიც, უაღრესად მწვავე, დამთრგუნველ პოლიტიკურ რეალობაში ამის საჯარო გაცხადებას რომ არ ერიდებოდა:

— როდემდე შეიძლება მთაწმინდაზე გვერდი-გვერდ იწვნენ ქრისტე და იუდა.

მართლაც როდემდე შეიძლებოდა?!.

ტარიელ ჭანტურია ლექსით გამოთქვამდა ამავე პროტესტს, ისეთი გამჭვირვალე მინიშნებით, სულ არ იყო აუცილებელი ფილიპე მახარაძის ხსენება, ცენზურას კიდეც რომ დაერთო ნება ამ გვარ-სახელის ჩაწერისა:

გადახედვა სჭირდება პანთეონის სტატუსსო!

არა გულისხმობდა ცხადია ნიკოლოზ ბარათაშვილს, არც აკაკი წერეთელს, არც ილია ჭავჭავაძეს, არც გიორგი ლეონიძეს, არც დავით კლდიაშვილს, არც ვაჟა-ფშაველას, არც მით უმეტეს იმ ერთს! — ღმერთს! პოეზიის მარშალს — ანუ გალაკტიონ ტაბიძეს. ხომ ყველამ ვიცოდით და ვიცით, პანთეონში ხალხი რომელი პიროვნებებისთვისაც დაიარება. და ამიტომაც სჭირდებოდა გადახედვა პანთეონის სტატუსს.

უკვე საყოველთაო აზრად და განცდად დამკვიდრდებოდა, რომ:

ილიას გვერდით არ შეიძლება ყოფილიყო ილიას მკვლელობაში ეჭვმიტანილის ანუ უეჭველი მონაწილის სამუდამო განსასვენებელი.

ფილიპე მახარაძის სულიერ თუ სისხლისმიერ შთამომავლებს არ ეყოფოდათ ჭკუა ან ეყოფოდათ თავხედობა — წმინდა მთიდან არ წაეყვანათ თავიანთი უწმინდური მკვდარი?

მაშ ქართველ ხალხს უნდა აღესრულებინა ეს უშუალო მოვალეობა.

და... ტარიელ ჭანტურიას რომ შეატყობინებდნენ ფილიპე მახარაძის საფლავის აფეთქებას, ამ ეროვნულ აქციაში თავის წვლილსაც მიითვლიდა და კრიტიკულ-ესთეტიკური ჩანაწერებისა და ჩანახატების ციკლის — „დინოზავრიდან დიზაინამდე“ — ერთ-ერთ ნიმუშში — „კიდევ ერთი კენოტაფი“ — ამასაც დასძენდა:

— ქრისტიანული მორალის თვალსაზრისით, იქნებ მთლად მომხიბლავად არ გამოიყურებოდეს საფლავის აფეთქება — მაგრამ სხვა საშველი არ ჩანს — ილიას ამოდენა იუბილე გავმართეთ, იმას კი აღარ მივაქციეთ ყურადღება, ქართველთა სიამაყის გვერდით მის მკვლელობაში ეჭვმიტანილი რომ წევს...

ეს მაინც ასრულდებოდა: ხმად ღვთისად და ხმად ერისად სახელდებული.

მთაწმინდა კვლავაც რომ დარჩებოდა გასაწმენდი, გამოსამარგლი და გამოსათოხნი, ეს საწუხარი კიდევ ცალკეა განსასჯელი, აგერ ჩვენს თვალწინაც სასეირო რომ შეიქნებოდა იქ დაკრძალვა, ძალდაუტანებლად რომ გამახსენებდა ერთ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ ესეიში სოფლის სასაფლაოს, მაგრამ ამჯერად ის უფრო გაგვხდომია სადარდებელი, დიდუბის პანთეონის სტატუსსაც რომ ესაჭიროება გადახედვა, და არა მარტო გასაწმენდი, გამოსამარგლი და გამოსათოხნია იქაურობაც, მთლად ისეთი უწმინდური მკვდარიც რომ წევს ამ წმინდა მიწაშიც, დომენტი მშვენიერაძე რომ გახლდათ: ზესტაფონთან მომხდარი იმ საზარელი ტრაგედიის — მატარებლის ვაგონში რომ ამოჟლეტდნენ ადამიანებს — თაოსანი და აღმსრულებელი.

თუ მართლა რაიმედ გვიღირს 1924 წლის ამბოხება და იქ მონაწილეთა თუ ზვარაკად შეწირულთა სისხლი, ჩვენი ღირსების შელახვაა დიდი ხნის პანთეონში იმ საფლავის არსებობა.

თორემ ფარისევლობად გამოიყურება და სხვა არაფრად, ცრემლიანი თვალებით შევყურებდეთ რეპრესირებულთა მუზეუმში იმ ვაგონს და ვითმენდეთ პანთეონში ძვლებს ჯალათისა, რომელმაც ეს ვაგონი საბედისწეროდ გადაუქცია უამრავ ადამიანს.

თუ დომენტი მშვენიერაძის სულიერ თუ სისხლისმიერ შთამომავლებს არ ეყოფათ ჭკუა ან ეყოფათ თავხედობა, კვლავაც დიდუბის მიწაში დაგვიტოვონ თავიანთი უწმინდური მკვდარი, მაშინ ქართველმა ხალხმა უნდა აღასრულოს განაჩენი.

ქრისტიანული მორალის თვალსაზრისით მთლად მომხიბლავად არ გამოიყურება საფლავის აფეთქება?

მაგრამ თუკი სხვა საშველი არ იქნება?..

* * *

გადახედვა სჭირდება დიდუბის პანთეონის სტატუსსაც. ხოლო მთაწმინდის პანთეონი აგერ ჩვენს თვალწინ სასეიროდ რომ გადაგვიქციეს...



როსტომ ჩხეიძე

სად, რა, როდის, ვინ?

თარიღი, ციფრები, ფაქტები

1724 წლის 15 სექტემბერს

სოფელ ატენთან (ახლანდელი გორის რაიონი) გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა ქართლში ოსმალთა წინააღმდეგ დიდი აჯანყების ფარგლებში. აჯანყებას სათავეში ედგა კახეთის მეფე კონსტანტინე II კახთა, თუშთა და ფშავ-ხევსურთა ლაშქრით. აჯანყებულთა ლაშქარი სულ 10 ათას კაცს მოიცავდა. თავდაპირველად ბრძოლა ქართველთა წარმატებით დაიწყო, მაგრამ მოღალატეთა დახმარებით ოსმალებმა მაინც გაიმარჯვეს. მტერი აჯანყებულებს სასტიკად გაუსწორდა. დახოცილთა თავები ურმებით გაუგზავნეს თბილისში რეჯებ ფაშას. ამის შემდეგ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში ერთგვარი შესვენება დაიწყო.

1615 წლის 15 სექტემბერს

დავით ჯანდიერის მეთაურობით დაიწყო ანტისპარსული აჯანყება კახეთში, მალე მას სათავეში მეფე თეიმურაზი ჩაუდგა. შაჰ-აბასმა დამსჯელი რაზმი გამოგზავნა ალი-ყული-ხანის სარდლობით წიწამურთან გამართულ ბრძოლაში 5000-მა ქართველმა მეფე თეიმურაზის მეთაურობით სასტიკად დაამარცხა სამჯერ უფრო მრავალრიცხოვანი მტერი. ალი-ყული-ხანის არმია განადგურდა. ეს იყო შაჰის პირველი სერიოზული მარცხი საქართველოში.

1614 წლის 17 სექტემბერს

ირანის შაჰმა აბას I-მა მოტყუებით ჩაიგდო ხელში ქართლის მეფე ლუარსაბ II.

1631 წლის 17 სექტემბერს

ლაიფციგთან ახლოს სოფელ ბროტენფელდთან გაიმართა შუა საუკუნეების ეპოქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბრძოლა, რომელმაც გარდატეხა შეიტანა ოცდაათწლიანი (1618-1648 წ.წ.) ომის მსვლელობაში. შვედეთ-საქსონიის შეერთებულმა ჯარმა დაამარცხა გერმანიის იმპერატორის მთავრობა.

480 წლის (ძვ.წ.აღ.) 27 სექტემბერს

სალამინის სრუტეში გაიმართა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიაში პირველი დიდი ბრძოლა სპარსელებსა და ბერძნებს შორის. 358 სპარსული გემის პირისპირ იდგა 300 ბერძნული გემი. ბერძნებმა ადმირალ თემისტოკლეს სარდლობით თითქმის მთლიანად გაანადგურეს სპარსელთა ფლოტი.

1939 წლის 17 სექტემბერს

საბჭოთა ჯარები შევიდნენ პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ამას მოჰყვა პოლონეთის გაყოფა გერმანიას, სლოვაკიას, სსრკ-სა და ლიტვას შორის.

1929 წლის 25 სექტემბერს

სკპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიურომ მიიღო დადგენილება „კულაკური ტერორის შესახებ“, სადაც ლაპარაკი იყო ქვემო ვოლგისპირეთში მითიური ესერულ-კულაკური საააჯანყებო ორგანიზაციის გამოაშკარავების შესახებ.

1938 წლის 27 სექტემბერს

მომავალ საბჭოთა კოსმონავტიკის მამას სერგეი პავლეს ძე კოროლიოვს, მავნებლობის ბრალდებით დაპატიმრებულს, მიესაჯა 10 წელი ბანაკში ყოფნა და კოლიმაზე გაიგზავნა.

ზურაბ ლომიძე

ეს ორი მოთხრობა ძალიან ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ ორივე ნამდვილი ამბავია. ამიტომ ვერ შევძელი, გვერდი ამევლო მათთვის. რას იზამ, ზოგჯერ ცხოველი ადამიანივით იქცევა, ჰბაძავს მას. ან, იქნებ, სწორედ მათი ქცევა უნდა იყოს ნიმუში ადამიანისთვის — ბოროტებას, უგულობას თუ სიკეთეს დანახვა უნდა.

თოლია? არა, წაბლა

– **ის** ძაღლივით ერთგულია მისი, – თქვა ელიზბარმა და სიგარეტს მოუკიდა. – მისი ყველაფერი მოსწონს, ყველაფერზე კუდს უქიცინებს კმაყოფილებით.

გენო ყურს უგდებდა ელიზბარს და მის საუბარში არ ერთვებოდა. მანაც კარგად იცოდა ვისზე ლაპარაკობდა ელიზბარი. ხვდებოდა, ელიზბარი ნაწყენი იყო თავისი საუბრის გმირზე. ამას პირდაპირ არ ამბობდა და არაკის ენით უნდოდა ეთქვა სათქმელი.

– ...წამიკითხია კიდეც სადღაც, ძაღლისთვის არა აქვს მნიშვნელობა, როგორია მისი პატრონი – კეთილი თუ ბოროტი. განგებამ მას მხოლოდ ერთგულება არგუნმა პატრონისა, დაუფიქრებლად და უგუნურადაც, და არასოდეს არ უღალატებს, ზურგს არ შეაქცევს, აზრი არ შეეცვლება...

– არ არის ყოველთვის ეგრე, ელიზბარ. ზოგჯერ ძაღლსაც შეიძლება შეეცვალოს აზრი თავის პატრონზე, – ჩაერთო, როგორც იქნა, გენოც საუბარში.

– მე ეგეთი რამე არ გამიგია, – არ მოეწონა ელიზბარს მეგობრის ნათქვამი.

– შენ, შეიძლება იმ კაცის შეფასებაში მართალი ხარ, ვისზეც ლაპარაკობ და ძაღლივით ერთგულებას უქებ, – მშვიდად მიუგო ისევ გენომ, – მაგრამ ძაღლი არ არის ყოველთვის განურჩეველი პატრონის მიმართ. და ეს რომ ასეა, მინდა ერთი ძაღლის ისტორია გიამბო, ჩემი მეზობლის ძაღლისა...

თოლია ჩვეულებრივი ეზოს ძაღლია. არც დიდი და არც ფინიასავით პატარა. სილამაზით კი არავის ჩამოუვარდება – არც ქართულ თუ გერმანულ ნაგაზსა და არც ათასნაირ სხვადასხვა ჯიშიან თუ უჯიშო თანამოძმეს. ბეწვი მუქი წაბლისფერი აქვს შუბლზე ნაცრისფერი ნოთათი. თვალები კი – სათნო, მეტყველი, ლამაზი და მუდამ სევდიანიც.

იმ დღეს ბავშვებმა მოისაკლისეს თოლია.

მაგრამ თოლია არც მეორე დღეს გამოჩენილა და არც მეოთხე დღეს. შეშფოთდნენ. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ბავშვები. უფროსები ჯერ ამშვიდებდნენ, მერე კი გაუმხილეს ვარაუდი – ალბათ, ტყეში რომელიმე ნადირს გადაეყარაო...

სწორედ მეხუთე დღე იქნებოდა, ოჯახის უფროსი მეზობელი სოფლიდან რომ მოდიოდა ტყის ბილიკით. რაღაც კვნესა შემოესმა. მიჰყვა მიკნავებულ ხმას და ორმოს გადააწყდა. ჩაიხედა – იქ სწორედ მისი თოლია აღმოჩნდა. ისე მისუსტებული და მისავათებული მოეჩვენა, აღარ ღირსო ამოყვანა, გადაწყვიტა, მაინც ვეღარ იცოცხლებსო. მით უმეტეს იმსიღრმე ორმოდან ამოსვლა მე თვითონაც გამიჭირდებაო.

მოეჩვენა, რომ თოლიას არც დაუნახია.

სახლშიც არაფერი უთქვამს ამის შესახებ.

კიდევ ოთხი დღე იქნებოდა გასული, მის მეზობელს გაუვლია იმ ადგილებში.

– რაღაც უცნაური შიშინის ხმა შემომესმა, – იგონებდა ის შემდეგ. – მივაყურე – ორმოში ძაღლი ეგდო. შევატყვე, რომ საამქვეყნო აღარ იყო, მაგრამ მაინც შემეცოდა. ვიფიქრე, იქნებ, გადარჩეს-მეთქი. ჩავძვერი ორმოში და მისი ცოცხალ-მკვდარი სხეული შემოვდე ორმოს თავზე. თვითონ ძლივს ამოვბობღდი ორმოდან. ძაღლს კი არც დაუღრენია და, უბრალოდ, აღარც რაიმე ხმა გამოუცია. თვალები კი გახელილი ჰქონდა. დაუფახულებლად და უაზროდ მომჩერებოდა. ვიფიქრე, ალბათ, კვდება-მეთქი და იქვე დავტოვე.

მას დღესაც ვერ ამოუხსნია ის, რაც მერე მოხდა. დილით, როცა იგი ეზოში გამოვიდა, ის წაფლისფერი ძაღლი მისი სახლის ღობესთან იყო ჩაცუცქული. მის დანახვაზე კეთილად დაიწკმუტუნა და კუდის ქიცინი დაიწყო, თუმცა ფეხებზე ძლივს იდგა და დროდადრო ეცემოდა კიდეც.



შეიყვანა წაბლა – ასეც დაარქვა – ეზოში, საჭმელი და წყალი გამოუტანა და ერთ კუთხეში დაუდგა.

მესამე დღეს წაბლამ ოთხი ლეკვი დაყარა – თურმე, საწყალი მაკე ყოფილა.

ბავშვების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ლეკვები დაინახეს.

ვერ იტყოდი, რომ ლეკვები ჯანსაღად გამოიყურებოდნენ, მაგრამ ორ-სამ დღეში უკვე ენერგიულად დაბობღავდნენ დედის სხეულზე.

– თოლია, ჩემო თოლია. აქ საიდან გაჩნდი? – გაიგონა ერთ დღეს მეზობელმა ძაღლის პატრონის ხმა, – ცოცხალიც აღარ მეგონე, ჩემო კეთილო მეგობარო.

შენთან რა უნდა ჩემს თოლიას? – მიუბრუნდა იგი მეზობელს, თითქმის ერთი თვეა, დაკარგული გვეგონა. ახლაც, აქეთ რომ ჩამოვიარე და დავინახე, თვალებს არ ვუჯერებდი.

ამასობაში თოლია-წაბლა პირველი პატრონის ფეხებთან ჩაცუცქულიყო და თვალებში მისჩერებოდა.

მეზობელს არ დაუწყია – დატოვე, ჩვენთან იყოსო ძაღლი და მისი მონაგარი, როცა პატრონმა ისინიც თავის სახლში წაიყვანა.

მაგრამ წაბლამ მეორე დილითვე მიჰგვარა ახალ პატრონს ლეკვები და მისთვის მიჩნეულ კუთხეში მოკალათდა.

ძველი პატრონისა და მისი შვილების მცდელობა, ისევ წაეყვანათ თოლია თავისთან, ამაო გამოდგა.

თოლიამ წაბლობა არჩია სამუდამოდ.

– ...ასეა, ჩემო ელიზბარ, – დაამთავრა თავისი თხრობა გენომ. – შეგიძლია შეამოწმო ყველაფერი: ძაღლიც ცოცხალია, მისი ლეკვებიც და ორივე პატრონიც. ამის შემდეგ როგორღა უნდა თქვა კაცმა, რომ ძაღლი განურჩეველია თავისი პატრონის მიმართ უგუნურადო?!

ვინ რისთვის აქნევს თავს...

მდინარისპირა დიდი ჭერეხი უნდა გაევლო გივის, ავტობუსის გაჩერებამდე რომ მოკლე გზით მისულიყო. თუმცა ისედაც უყვარდა აქეთ გამოვლა. მდინარის ნაკალაპოტარი (ზოგჯერ – სამარქაფო კალაპოტიც, განსაკუთრებით დიდთოვლიანი ზამთრის მომდევნო გაზაფხულობით) ბავშვობაში აბრუნებდა, აგონებდა მშობლიური სოფლის საოცნებო ადგილებს, უღვიძებდა მოგონებებს, ფიქრებისა და განსჯების სასიამოვნო განწყობილებაზე აყენებდა.

ახლაც დაფიქრბული მიდიოდა თავისი ავტობუსის გაჩერებისკენ. მისი ყურადღება მდინარის გაღმა ცხენების უცნაურმა ჭიხვინმა მიიპყრო.

გაიხედა – ექვს თუ შვიდ ცხენს რაღაც უცნაური წრე შეეკრათ, ხმამაღალა ჭიხვინებდნენ, გამოსცემდნენ შემაშფოთებლად და ქაოტურად უვლიდნენ დავლურს.

გივი თავდაპირველად სწორედ მათმა რაოდენობამ გააკვირვა. რამდენი ხანია, ამ გზით დადის და ერთი თუ ორი ცხენის მეტი აქ არ უნახია. საიდან მოგროვდნენ ამდენიო, გაიფიქრა. მხოლოდ მერე მიაქცია ყურადღება მათ უწესრიგო ხმაურსა და მოქმედებას. თითქოს წრის შიგნით ჭიდაობას უყურებენო.

უყურა, უყურა, ეგებ მალე დაიშალონ და შევხედო, რა ხდება წრის შუაგულშიო. ცნობის წადილმა დასძლია, მდინარის პირას მივიდა და იქიდან გახედა: ცხენები ორმოს გარშემო ტრიალებდნენ და დაშლას, მგონია, არც აპირებდნენ.

საბედნიეროდ, იქ მდინარე თხელი იყო და ფეხსაცმლის გახდისა და შარვლის ტოტების აწევის მეტი არ იყო საჭირო.

ცხენებმა, ადამიანი რომ დაინახეს, ჭიხვინს უმატეს, მაგრამ ორმოს გარშემო ტრიალი არ მიუტოვებიათ. არც გივი მიუშვიათ ორმოსთან, თუმცა ჭიხვინის ხმაში განგაშის ნოტები თითქოს ოდნავ შესუსტდა.

მოახერხა, შეენიშნა, ისიც შორიდან, რომ ორმოში კვიცი იყო.

დიდი ჯოხი აიღო და შეეცადა წრის გარღვევას, მაგრამ მის ამ მოქმედებას ცხენები აგრესიულად შეხვდნენ, რამდენიმე ყალყზე შედგა და მისკენ წამოვიდა. გივიმ დაადგდო ჯოხი და უკან გამობრუნდა – რად ავიტკივო აუტკივარი თავიო.

მდინარესთან მისულს, როცა შარვლის ტოტები უნდა აეწია, თავზე ერთი ცხენი დაადგა – შეეშინდა, კინაღამ ტანსაცმლიანად გადავარდა წყალში. მოასწრო განზე გახტომა, თან შიშით იმ ცხენისათვის ვერ მოეშორებინა თვალი – არ დამარტყას თავისი ტლინკებიო. მაგრამ უეცრად ამ ცხენის თვალებში ადამიანური მუდარა ამოიკითხა. გაიხედა ორმოსაკენ – ცხენებს თითქოს კორიდორი გაეკეთებინათ. ჭიხვინის ხმაც აღარ ესმოდა და „დავლურიც“ დამთავრებულიყო.

ცხოველი ყოველთვის გეტყვის სათქმელს – ჩახედე მხოლოდ თვალებში, ჩახედე სითბოთი და თანაგრძნობით. შიშსა და აგრესიას ისინი ადამიანებზე უკეთესად კითხულობენ ადამიანის ქცევაში, მზერასა და გარეგნობაში.

„რაც არი, არისო“, – გაიფიქრა გივიმ და ორმოსკენ გაემართა.

ორმო ღრმა და ვიწრო იყო. იქიდან კვიცი კი არა, ცხენიც ვერ მოახერხებდა ამოსვლას. თავად კვიცი კი უკვე უკიდურესობამდე ქანცმიხდილი უძრავად ეგდო ორმოს ძირში.

მიხვდა, რომ ორმოში ჩამხტარიყო, თავადაც გაუჭირდებოდა იქიდან ამოსვლა.

იქვე მახლობლად ხმელი ტოტი შენიშნა, ვიღაცას ხის გაკაფვის შემდეგ რომ დაეტოვებინა.

კვიცი ამოსვა ორმოდან. თავადაც არ გასჭირვებია იქიდან ამოსვლა ხმელი ტოტის დახმარებით.

პირველად კვიცთან მივიდა, ის, თითქოს არაფერი მომხდარაო, ფეხზე წამოხტა, მაგრამ დაუძლურებული ისევ მოცელილივით დაეცა.

გივის გაეხარდა. კვიცი მხოლოდ დაღლილი იყო და მალე მოითქვამდა სულს, ისევ მივიდა მასთან, მოეფერა და მდინარისაკენ წავიდა.

მთელი ეს პერიოდი ცხენები ადგილიდან არ დაძრულან – იდგნენ მორჩილად და ადამიანის საქმიანობას ადამიანებივით ადევნებდნენ თვალყურს.

აი, მდინარესთან რომ მივიდა და ფეხსაცმლის გახდა დაიწყო, ზურგზე მსუბუქი დარტყმა იგრძნო. მოიხედა – შავი ცხენი იდგა მის უან და დორბლიანი დიდი დრუნჩებით ეხებოდა ზურგზე. იქვე მოსულიყო (თუ მოეყვანა იგი დედას) კვიციც, ჯერ ისევ რომ უკანკალებდა ფეხებიც და სხეულიც.

გივი კმაყოფილი და ბედნიერი გადავიდა ნაპირზე, რომ იხსნა პატარა, უსუსური არსება.

გაისწორა დაკაპიწებული შარვალი, ჩაიცვა ფეხსაცმელები და საბოლოოდ გახედა თავისი თავგადასავლის ადგილს: მდინარეში ექვსივე (თუ შვიდივე) ცხენს, მათ შორის იმ კვიცსაც, ჩაედგათ წინა ფეხები და თავების ქნევით გივისაკენ იმზირებოდნენ.



◎ სუმო

ამჯერად – ცუკიოტოშით

ტოკიოს „რიოგოკუ კოკუგიკანში“ მიმდინარე სექტემბრის სუპერტურნირზე მე-6 დღის ორთაბრძოლები მიილია. ტოჩინოშინის შიკონათი ცნობილი ქართველი სუმოისტი ლევან გორგაძე აღმოსავლეთის პირველ მაეგაშირა იკიოის გაეჯიბრა, ცუკიოტოშით სძლია და 2 მარცხის წილ მე-4 გამარჯვება იზეიმა. გუშინდელ შერკინებამდე იაპონელ სეკიტორს აკი ბაშოზე ხუთივე ბრძოლა წაგებული ჰქონდა, ამასთან, ჩვენებური მას ურთიერთშეხვედრებში 9:4-ს უგებდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ტოჩინოშინი აშკარა ფავორიტად მოიაზრებოდა და საერთო ჯამში იოლი გამარჯვებაც იზეიმა. ლევანმა იერიშზე წამოსული მეტოქე წინ დაიქნია და იაპონელმა წონასწორობის დაცვა ვეღარ შეძლო.

დღეს გორგაძეს უფრო რთული შეხვედრა ელის, რადგანაც მისი მოწინააღმდეგე სეკივაკე იჩინოჯო იქნება. ამ უკანასკნელს ტოკიოში უკვე 4 ორთაბრძოლა აქვს წაგებული და ცხადია, რომ დადებითი ბალანსის დასაფიქსირებლად მაქსიმუმს გაიღებს.

შეგახსენებთ, რომ კაჩი-კოში ლევანისთვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგანაც ის კადობანში გახლავთ ჩაყენებული და თუკი მინიმუმ 8 შეხვედრა მაინც არ მოიგო, დასავლეთის მე-2 ოძეკის წოდებასთან დამშვიდობება მოუწევს. ვთქვათ ისიც, რომ ქართველი გოლიათი მონღოლს ურთიერთშეხვედრებში 12:5-ს უგებს.

ელიტურ მაკუუჩი დივიზიონში 6 დღის თავზე დაუმარცხებელი 4 მონაწილეღა დარჩა და მათ შორის ვეღარ ვხედავთ რიგით 72-ე იოკოძუნა კისენოსატოსა და სეკივაკე მიტაკეუმის, რომელიც ოძეკის წოდების მაძიებელთა რიგებში იმყოფება.

იაპონელთა ერთ-ერთმა უსაყვარლესმა სუმოისტმა მოულოდნელად დასავლეთის მე-2 მაეგაშირა ჩიიოტაირიუსთან წაიფორხილა, არადა, ამ უკანასკნელს მანამდე მოგებათა გრაფაში ნული ეწერა. რაც შეეხება მიტაკეუმის, მან ოძეკი გოეიდოსთან წააგო და ამას მოულოდნელობად ნამდვილად ვერ მივიჩნევთ.

სამაგიეროდ, მაქსიმალურ შედეგს ინარჩუნებენ იოკოძუნები კაკურიუ და ჰაკუჰო, ოძეკი ტაკაიასუ და აღმოსავლეთის მე-9 მაეგაშირა ჰოკუტოფუჯი.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ძიუდო

„ბრინჯაოს“ სტარტი

ჯაბა პაპინაშვილი

საქართველოს ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრების წევრებმა ჯაბა პაპინაშვილმა (60 კგ) და ბაგრატ ნინიაშვილმა (66 კგ) ევროპის თანატოლთა ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. სოფიაში დაწყებულ კონტინენტის პირველობაზე ვაჟთა და გოგონათა შორის სულ ჯილდოების სამსამი კომპლექტი გათამაშდა, საქართველოს ნაკრებს კი ხუთი ძიუდოისტი წარმოადგენდა.

ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ჯაბა პაპინაშვილი ევროპირველობის ძირითად ბადეში მეოთხედფინალამდე მივიდა – კვიპროსის სახელით მოჭიდავე გეორგიოს ბალარჯიშვილისა და თურქი სამეთ ქუმთაშის იპონ-იპონ ძლევის შემდეგ მან აზერბაიჯანელ ტოფიგ მამადოვთან იპონითვე წააგო, რეპეშაჟის ნახევარფინალში რუსეთის ნაკრების წევრ ობიდ ძებისოვს ვაზარით აჯობა, „ბრინჯაოს ფინალში“ კი ვაზარითვე გაუსწორდა ჰოლანდიელ ივო ვერჰორსტერტს.

ახალგაზრდებში მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა ბაგრატ ნინიაშვილმა ევროპის ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შანსი ნახევარფინალში დაკარგა იტალიელ მანუელ ლომბარდოსთან „ოქროს დროში“ გაშვებული გდებით. იქამდე 19 წლის ქართველმა ჩერნოგორიელი მარკო გუსიჩი და ფრანგი რედა სედუკი ჩამოიშორა გზიდან, რეპეშაჟის ფინალში კი ებრაელი ამიტ ბობოვიჩი წუთნახევარში გააკრა ტატამს.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების სამი წევრი მედლებისთვის ბრძოლას საწყისი ეტაპიდან გამოეთიშა.

კობა კობაიძე

◎ ინტერნეტიდან

ხალხს თვალიც, გულიც

ასულნო ამერ-იმერისავ, ოდნავ მომსხონო, ფერდებშევსებულნო, კოხტად ნაკვებნო და უმთავრესად მკერდმოზანზარენო. მოგვაპყარით სასმენელნი თქუენნი და ისმინეთ ამბავი ესე საამო ყურთა თქვენთასა და გულთა ყოველთა მამრთასა, რომელთა თვალსასეიროდ იქმნების საქმენი დიდებული მიწაზე ბრაზილიისაზე.

გავაგანიერთა და მკერდმოზანზარეთა კონკურსი, რომელსაც ბრაზილნი ეტყვიან “მის ბუმ ბუმ“, უკვე იქმნა საყოველთაოდ და მილეთის ქალნი ფერხორციანნი, მიწყდომილ არს ქალაქსა მას რიო დე ჟანეიროსა. სამსა თვესა სტადიონსა, რომელსაც უხმობენ “მარაკანად“, ქმნილ იქმნების კონკურს “მის ბუმ ბუმ“ და გავამშვენიერი დიაცნი იგოგმანებენ პირსახისკენ ჟიურისასა.

ქალნო შემავსებელნო საწოლისა ამერ-იმერთა, ვითარცა რიგითი მოკვდავნი, გეაჯებით დიდითა სურვილითა და გულბოყდათუთქვითა, – იხილვიდეთ ქალაქსა მას რიოსა, დასდეთ დასადები ალაგნი წინაშე მსოფლიოსა და დასტურ ჰყვით, რომ გავაგანიერნი ასულნი მრავლად სახლობთ მიწასა იბერიისა და მიწასა კოლხთასა.

ხოლო უკეთუ რომელიმე შვილმან ქართლოსისამან ქმნა გამარჯვება კონკურსზე ესე, ქმარნი და სატრფონი თქუენნი არღარა დაუწყებენ ძიებას მათ სიძვის დიაცთა ქუეყნებსა სლავთასა და აღიარებენ ნათლადმყოფ მშვენიერებასა დიაცთა ჩვენთა. და გარნა ესე საქმეი მცირედსაქვეყნოა? გარნა არ შეგვიძლიან ქმნაი ამბისა სამსოფლიოსი?!...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ კალათბურთი

მეგობრობა – „ბომბებით“

ორიგინალურნი არ ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ აღთქმული მიწა მიჩვეულია დაბომბვას, მაგრამ ერთია პალესტინელთა აგრესიული პოლიტიკა და მეორე ისეთი უწყინარი სპორტული კომპონენტი, როგორიცაა საკალათბურთო პერიმეტრიდან ისრაელის ეროვნული გუნდის კალათისკენ გაშვებული სამქულიანი „ჭურვები“, რომლებმაც საქართველოს ნაკრებს მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუტანა – 85:80.

სულ ილიას ზუროსის გუნდმა მეტოქეს მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდის სასტარტო შეხვედრაში შორი დისტანციიდან 16(!) ჩხვლეტა მიაყენა (სანაძე, ჯენინგი – 5-5, შენგელია – 3, ბერიშვილი – 2, ბოქოლიშვილი – 1), რაც საერთო მონაგრის ნახევარზე მეტია. ალბათ, ესაა წარმატების მთავარი მიზეზი, თუმცა, არც ბითაძისა და შერმადინის წვლილი უნდა მივაფუჩეჩოთ, საიმედოდ რომ იბრძოდნენ როგორც საკუთარ, ისე მასპინძელთა ფარქვეშ. რაც შეეხება ცინცაძეს, მართალია, მან ერთი შეხედვით მატჩი ჩააგდო (0 ქულა), მაგრამ პარტნიორებს შვიდი შედეგიანი გადაცემა და სამი ჩაჭრა, მათ შორის გადამწყვეტი – უკანასკნელ წამებზე, მაინც შეა შველა.

ასე რომ, ებრაელებთან ურთიერთშეხვედრებში კიდევ უფრო დავწინაურდით – 5:3 (მათ შორის ოფიციალური მატჩების საერთო ბალანსი გათანაბრდა – 2:2) და, რაც მთავარია, დავწიეთ შესარჩევი ტურნირის გათამაშების ცხრილში, რითაც გაისად ჩინეთში გასამართავი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი შევინარჩუნეთ.

ესტონეთი – გერმანია 43:86, საბერძნეთი – სერბეთი 70:63.

გერმანია, საბერძნეთი – 7-7, სერბეთი – 4, საქართველო, ისრაელი – 3-3, ესტონეთი – 2 მოგება.

ხვალ ითამაშებენ: **საქართველო-საბერძნეთი, გერმანია-ისრაელი, სერბეთი-ესტონეთი.**

ვიტალი ჯაფარიძე

საფეხბურთო მოზაიკა

ესპანეთის ხელისუფლება, მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია და ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია ლა ლიგის მატჩის აშშ-ში გამართვას არ ეთანხმებიან. როგორც Marca იუწყება, ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა პედრო სანჩესმა, ფიფასა და ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციათა ხელმძღვანელებმა ჯანი ინფანტინომ და ლუის რუბიალესმა მოლაპარაკება აწარმოეს და სამივე ლა ლიგის ინიციატივის წინააღმდეგ წავიდა.

ესპანეთის ჩემპიონატის ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაციით, ლა ლიგამ „ბარსელონასთან“ და „ჟირონასთან“ ერთად ფედერაციას აღნიშნული გუნდების ამერიკაში დაპირისპირების ნებართვა სთხოვა. თუ ესპანურ მედიას დავუჯერებთ, შეხვედრა მაიამის „ჰარდ როკ სთედიუმზე“ 26 იანვარს არ გაიმართება.

* * *

უეფამ გამორიცხა ჩემპიონთა ლიგის ფინალის ევროპის მიღმა გამართვა უახლოეს მომავალში. ამის შესახებ ევროპული ფეხბურთის მმართველი უწყების პრეზიდენტმა ალექსანდრ ჩეფერინმა ისაუბრა.

სლოვენიელმა უარყო გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ უეფა 2021 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალის ჩატარებას აშშ-ში და, კერძოდ, ნიუ-იორკში აპირებდა:

„ეს იდეა ამჟამად არ განიხილება. ამ ეტაპზე უეფა არ აპირებს ჩემპიონთა ლიგის ფინალის ევროპის მიღმა მოწყობას“, – განაცხადა ჩეფერინმა.

ჯერჯერობით უცნობია რომელი ქალაქი უმასპინძლებს 2021 წლის გაზაფხულზე ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტ შეხვედრას, 2018-2019 წლების სეზონის ფინალი კი მადრიდში შედგება, ხოლო 2020 წლის – სტამბოლში.

* * *

უეფამ რამდენიმე დღის წინათ გავრცელებული ინფორმაცია ოფიციალურად დაადასტურა და 2021 წლიდან მესამე ევროტურნირი შეიქმნება. ჯერჯერობით უცნობია მისი სახელწოდება და ფორმატი, მაგრამ გადაწყდა, რომ 2021-2022 წლების სეზონიდან უეფას ჩემპიონთა ლიგისა და ევროპა ლიგის გარდა, მესამე ტურნირიც იქნება.

ამის შესახებ გენერალურ ასამბლეაზე ევროპული კლუბების ასოციაციის იტალიელმა პრეზიდენტმა ანდრეა ანიელიმ განაცხადა:

„დღევანდელ მოდელს მოდერნიზაცია სჭირდება, თუმცა, აუცილებელია საერთაშორისო კალენდრის განხილვა“, – აღნიშნა „იუვენტუსის“ თავკაცმა.

ამრიგად, მწვანე შუქი უკვე ანთებულია და ევროპულ საკლუბო ფეხბურთს 1998-1999 წლების სეზონის შემდეგ მესამე ევროტურნირი უბრუნდება.

გიორგი ზოთაძე

◎ რეტრო

სულიერი საზრდო – თეატრი მთაში

ახლახან უახლოესი წარსულის გახსენების მიზნით რაჭის სპორტულ ცხოვრებას ონის საფეხბურთო კლუბ „მამისონზე“ მომზადებული წერილი მივუძღვენით.

პუბლიკაციაში გაკვრით მხარის მდიდარ კულტურულ ტრადიციებსაც შევეხეთ, რამაც ძალაუნებურად გაგვიჩინა სურვილი, მორიგი საგაზეთო სტატიით მაშინდელი სასცენო რეალობაც აგვესახა. მით უმეტეს, აღნიშნულ თემაზე დოკუმენტური ფილმიც კი შეიქმნა – „თეატრი მთაში“.

მაშ ასე, გასული საუკუნის საბედისწერო 90-იანი წლები, როცა ძმამ ძმას ესროლა ტყვია და ქვეყანა ერთბაშად რამდენიმე ომში აღმოჩნდა ჩათრეული. აღარაფერს ვამბობთ იმპერიული დერჟავის დაშლის შედეგად ჩვენს გაპარტახებულ-იავარქმნილ სამშობლოში დამკვიდრებულ სიდუხჭირესა და ეკონომიკურ კოლაფსზე, რასაც დამანგრეველი მიწისძვრაც დაემატა.

ჰოდა, ვის, თუ არა რეფორმატორ რეჟისორ გიგა ჯაფარიძესა და მის მიერ რუდუნებით შექმნილ და ფეხზე დაყენებულ ონის (მანამდეც და შემდეგაც – ამბროლაურის) სახალხო თეატრს უნდა ეთავა ყოველდღიური საზრუნავით გატანჯული მოსახლეობისათვის სულიერი საზრდოს მიწოდება. დიდმა მაესტრომ, რომლის ფართო დიაპაზონი და შემოქმედებითი მასშტაბები გაცილებით მაღალ დონეზეც გაშლიდა ფრთებს, ბოლომდე უერთგულა საყვარელ კუთხეს და იქ ისეთი სამყარო შექმნა, ყველას რომ უხაროდა საპრემიერო დღის გათენება – მერე რა, რომ რეპეტიციებისა თუ სპექტაკლების მსვლელობის დროს კულტურის სახლის დარბაზში შუქიც ხშირად ქრებოდა და ენთუზიასტი მსახიობები სიცივისგან კანკალებდნენ კიდეც. თურმე, მართალნი ყოფილან ისინი, ვინც ამტკიცებდნენ – სცენის მტვრით სამუდამოდ იწამლებიანო. უფალს მადლობას ვწირავ, იმ დაუვიწყარი დადგმებით ტკბობის ბედნიერება რომ მხვდა წილად და რაიონული გაზეთის თანამშრომელი ბატონმა გიგამ რამდენჯერმე სცენაზეც შემიტყუა. სხვათა შორის, ისეთი არგუმენტით „შემაბა“, უარის თქმის უფლებაც არ დამიტოვა – შენ მსახიობების გარემოცვაში ხარ გაზრდილი და ოჯახურ დინასტიას არ უღალატოო.

ბუნებრივია, ნოვატორი ხელოვანი თანამედროვე მოვლენებსაც ეხმაურებოდა და არავის გაკვირვებია, ჩერნობილის ტრაგედიისადმი მიძღვნილი გუბარევის პიესა „სარკოფაგი“ რომ დადგა, მაგრამ თხემით ტერფამდე ეროვნული მოღვაწის გული, უპირველესად, საქართველოსთვის ძგერდა, ამიტომაც საეტაპო მნიშვნელობა ენიჭება ერისთავის უკვდავი „სამშობლოს“ მორიგ სცენურ სიცოცხლეს, რომელშიც სოლომონ ლიონიძე თვით ბატონმა გიგამ განასახიერა ჩვეული დიდოსტატობით.

ასეთი მოძღვრის გვერდით უდიდესი პასუხისმგებლობით ნათამაშები როლებით იძერწებოდა როგორც ძველი გვარდიის (აველ ციხისელი, ჯემალ სამხარაძე, ნესტორ დუშუაშვილი, ლერი ბურდილაძე, მურმან და ავთო გავაშელები, იაშა შიმშილაშვილი), ისე ახალი თაობის წარმომადგენელთა (რამაზ და ბაკურ ჯაფარიძეები, ლელა დვალიძე, ირმა კობერიძე, ირმა მაგომედოვა, ნაირა გორდეზიანი, ლევან შერაზადიშვილი, კობა გამყრელიძე, მიქელა გავაშელი) და, თქვენ წარმოიდგინეთ, პროფესიონალ არტისტთა (გია ჯაფარიძე, ბესო ხიდეშელი) სცენური გმირებიც.

იმავე საჭირბოროტო პერიოდს უკავშირდება კიდევ ერთი გამორჩეული მოვლენა – ლატვიის ქალაქ ელგავის ადოლფ ალუნანის სახელობის თეატრის დასსთან დაძმობილება, რომელიც რამდენიმეწლიან მჭიდრო კონტაქტებში გადაიზარდა. უნდა გენახათ, როგორ აფასებდნენ ერთმანეთის შემოქმედებას როგორც რაჭაში, ისე ბალტიისპირეთში სტუმრობისას კოლეგა-მეგობრები. კაცი იმასაც იფიქრებდი, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, იმდენჯერ ატკინეს გული ბატონ გიგას თანამემამულეებმა მაშინ, როცა ხელისგულზე ატარებდნენ საზღვარგარეთ.

გია პლატონიშვილი

ანა ნაცვლიშვილის მკვლელობისას ბრალდებული აფექტის მდგომარეობაში არ იმყოფებოდა!

ექსპერტიზის დასკვნის და ექსპერტის ჩვენების თანახმად, დადგენილია, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისას, ბრალდებული არ იმყოფებოდა ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში, – განაცხადა ჟურნალისტებთან თემქაზე მოკლული ანა ნაცვლიშვილის საქმის პროკურორმა გრიგოლ ბიბილაშვილმა. როგორც ის განმარტავს, დღეს გამოკითხული ექსპერტ-კრიმინალისტის ჩვენებით დადასტურდა, რომ დანა, რომელიც გამოძიებამ ბრალდებულ ლადო გრიგალაშვილის ავტომანქანიდან ამოიღო, მკვლელობის იარაღია.

„სასამართლო-სამედიცინო კრმინალისტური ექსპერტიზის დასკვნითა და ექსპერტების ჩვენებით, დადგენილია რომ ანა ნაცვლიშვილისთვის სასიკვდილო 14 ჭრილობა მიყენებულია იმ დანით, რომელიც გამოძიებამ ბრალდებულის ავტომანქანის ჩხრეკისას ამოიღო. სასამართლოზე გამოიკითხა გამომძიებელიც, რომელმაც საგამოძიებო მოქმედება, ჩხრეკა ჩაატარა და ბრალდებულის ავტოფარეხიდან მთელი რიგი მტკიცებულებები ამოიღო, რომელიც ბიოლოგიურ კვლევას დაექვემდებარა და დადგინდა, რომ ბრალდებულის ავტოფარეხში აღმოჩენილ იქნა გარდაცვლილის სისხლის კვალი და გენეტიკური პროფილი.

გარდა ამისა, სასამართლო სხდომაზე წარმოვადგინეთ ექსპერტი ფსიქოლოგი“, – აცხადებს ბიბილაშვილი. რაც შეეხება დაცვის მხარის პოზიციას, რომ ექსპერტიზის დასკვნა კატეგორიული არ არის, ადვოკატი განმარტავს: დანასთან მიმართებაში ექსპერტი კატეგორიული ვერ იქნებოდა, რადგან დანა ქარხნული წესითაა დამზადებული და შესაძლებელია, მსგავსი ხასიათის სხვა დანაც იყოს.

ჩვენს პოზიციას ამყარებს არა მხოლოდ დღეს გამოკვლეული ექსპერტიზის დასკვნა, არამედ ბიოლოგიური, გენეტიკური კვლევები, რომლის თანახმადაც, როგორც დანაზე, ასევე ქარქაშზე აღმოჩნდა დაზარალებულის გენეტიკური პროფილი და სისხლი, ასევე ბრალდებულის გენეტიკური პროფილი, – აცხადებს ბიბილაშვილი.

18 წლის ახალგაზრდის დაღუპვის გამო გამოძიება გრძელდება

შსს 18 წლის ახალგაზრდის თორნიკე მერეგაშვილის გარდაცვალების გამოძიების საძმესთან დაკავშრებით განცხადებას ავრცელებს:

„გამოძიების პირველადი ინფორმაციით, მიმდინარე წლის 6 ივლისს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, საავტომობილო გზაზე მყოფ 1999 წელს დაბადებულ თ.მ.-ს შეეჯახა ამავე გზაზე მოძრავი „მერსედესის“ მარკის მიკროავტობუსი, რის შედეგადაც თ.მ. საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ხორციელდება კომპლექსური საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის, ამოღებულია შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ვიდეოსათვალთვალო კამერის ჩანაწერი, გამოკითხულია 137 პირი. თ.მ.-ს გარდაცვალების ზუსტი მიზეზების დასადგენად – კერძოდ, იყო თუ არა პიროვნების სიკვდილი გამოწვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების შეჯახებით თუ რაიმე სხვა გარემოებით – დანიშნულია ყველა შესაბამისი და კომპლექსური სამედიცინო ექსპერტიზა“, – ნათქვამია შსს-ს ინფორმაციაში.

ხსოვნა

ჯიმი და მერი ქვარცხავები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის

თამაზ პეტრეს ძე ქვლივიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სანთელი

ნაირა და მარიამ რურუები ღრმა მწუხარებას გამოხატავენ უკეთილშობილესი პიროვნების

ევვერ ნაჭყებიას

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებენ მეუღლეს ირას, შვილებს ლევანის და ლაშას, ახლო ნათესავებს.

939 გრამი ჰეროინი ირანელებისგან ამოიღეს!

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტის და სასაზღვრო გამშვები პუნქტი „სადახლოს“ მიმდებარე ტერიტორიებზე ირანის 4 მოქალაქე ნარკოდანაშაულისთვის დაიკავეს.

პოლიციამ დაკავებულებისგან 290 შეკვრად დაფასოებული 939 გრამი ჰეროინი ამოიღო. თბილისში ნარკოდანაშაულისთვის ირანის კიდევ ერთი მოქალაქეა დაკავებული, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოღებულია 21 გრამი ჰეროინი და სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალების 105 აბი.

„ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, ნარკოდანაშაულისთვის 4 პირი დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულების საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, 9 შეკვრად დაფასოებული ჰეროინი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო ვაზნები ნივთმტკიცებად ამოიღეს. გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და ნარკოტიკების არაერთგზის უკანონო გასაღების, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტებზე მიმდინარეობს.

ასევე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, აჭარაში ორი პირია დაკავებული. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა დაკავებულების პირადი ჩხრეკისას 232 აბი „სუბოქსინი“, 8 შეკვრად დაფასოებული ჰეროინი და სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე მიმდინარეობს.

ნარკოდანაშაულისთვის კიდევ ერთი პირია დაკავებული ბათუმში. შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა იგი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პოლიციამ, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 180 აბი მეტადონის მარილის შემცველი ნარკოტიკული საშუალება ამოიღო“, – განაცხადა ჭელიძემ.

ახალციხელ ბრალდებულს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

ახალციხის **რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და სიცოცხლისთვის სახიფათო ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ჩადენის ფაქტზე, ბრალდებული ზ.თ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ გ“ ქვეპუნქტით.**

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 8 თებერვალს, ბორჯომის რაიონის სოფელ საკირეში, ზ.თ.-მ სრულიად უმიზეზოდ, გულმკერდის არეში დანის დარტყმით, თანასოფლელ ს.ს.-ს სიცოცხლისთვის სახიფათო, სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დროული სამედიცინო ჩარევის შედეგად, ს.ს.-ს სიცოცხლე შეუნარჩუნდა.

სამართალდამცავებმა ზ.თ. 2018 წლის 11 თებერვალს ქალაქ ხაშურში დააკავეს.

◎ ესეც ესე!

სხვის „ფეხის ხმას“ აყოლილნი...

კარგი მატერიალური მდგომარეობა, არაკრიმინალური გარემო და აგრესიის შედარებით დაბალი დონე სულაც არ ყოფილა იმის გარანტია, რომ გარკვეულ ვითარებაში ნებისმიერი ადამიანი ადეკვატურად მოიქცევა.

ამის მიზეზი ისაა, რომ ასეთი ძვრის საფუძველს ადამიანის სიღრმისეული თვისება – სოციალური კონფორმიზმი წარმოადგენს. ამ რთული ტერმინის მიღმა სავსებით გასაგები მოვლენაა, რომ ჯგუფის შემადგენლობაში მყოფი კაცი სხვებივით მოქცევისკენაა მიდრეკილი იმ შემთხვევაშიც კი, როცა ასეთი საქციელი მისთვის დამახასიათებელი არ არის. ამ საწყენი თვისების ჩინებული დემონსტრაცია გახდა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1962 წელს ჩატარებული ერთობ მარტივი ექსპერიმენტი: ბიზნეს-ცენტრის ერთ-ერთ ლიფტში რამდენიმე მგზავრი შედიოდა, რომელთა მოქცევას ფარული კამერით იღებდნენ. ერთის გარდა, დანარჩენი მგზავრები ექსპერიმენტის მონაწილენი იყვნენ, რომლებიც უცნაურად მოქცევას იწყებდნენ: ზოგ ვარიანტში ცენტრის „სტუმრები“ ლიფტის ღია კარისკენ ზურგით დგებოდნენ, ზოგში ყველანი თავსაბურავებს ჯერ იხდიდნენ, მერე უკუღმა იხურავდნენ, სხვებში ყველანი მარჯვნივ ან მარცხნივ ტრიალებდნენ.

თანამგზავრთა უცნაური საქციელის შემხედვარე შემთხვევითი მგზავრები ჯერ გაოცებული შეჰყურებდნენ, მაგრამ შემდეგ, გარკვეული ყოყმანის მერე, ისინიც ამ უცნაურ და მათთვის გაუგებარ ქმედებას იმეორებდნენ: ვიღაც ასევე ცდილობდა ქუდის მოხდას, ანდა ისიც ტრიალდებოდა რომელიღაც მხარეს, ოღონდ არა ბოლომდე, სხვები კი, უბრალოდ, მექანიკურად იმეორებდნენ ექსპერიმენტის მონაწილე ხალხის საქციელს. თავის შეკავება და ჩვეულებრივად მოქცევა კი თითქმის ვერავინ შეძლო.

„ლიფტის ექსპერიმენტი“ თავდაპირველად გართობად იყო ჩაფიქრებული – იგი ამერიკის რეალითი-შოუში, „ფარული კამერის“ ერთ-ერთი გადაცემის დროს აჩვენეს, მაგრამ შედეგი იმდენად საგულისხმო გამოდგა, რომ ვიდეო, რომელზეც ჩვეულებრივ მგზავრთა ეჭვები და მერყეობაა ასახული, მრავალი უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის კურსის სასწაულო პროგრამებში შეიტანეს.

2011 წელს მინესოტის (აშშ) მეტანის ლუთერანული კოლეჯის სტუდენტებმა ცდის გამეორება და იმის გაანალიზება გადაწყვიტეს, თუ ვინ როგორ რეაგირებს მეზობელ თანამგზავრთა უცნაურ მოქცევაზე. გაირკვა, რომ ბრბოს ფარული ზეგავლენას ყველაზე მეტად ახალგაზრდები ექვემდებარებიან – ისინი ექსპერიმენტის მონაწილეთა მოქმედებებს შემთხვევათა 40 პროცენტში იმეორებდნენ. უფროსი ასაკის „მსხვერპლთათვის“ ეს მაჩვენებელი 14-24 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა. უცნაურ მოქმედებებს ქალები მხოლოდ ნაწილობრივ ჰყვებოდნენ, მამაკაცები კი მეზობლების ქცევებს თითქმის სრულად იმეორებდნენ. და ყველა შემთხვევაში იმის ალბათობა, რომ ადამიანი სხვების უცნაურ მოქმედებებს გაიმეორებდა, მგზავრთა რიცხვის მატებასთან იზრდებოდა.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ჯანმრთელობა

ნაშუალამევს სიკვდილიანობის საიდუმლო

სამედიცინო დაწესებულებების მონაცემთა ანალიზის შედეგად დიდი ხანია ცნობილია, რომ მძიმე ავადმყოფთა სიკვდილიანობის პიკი დილის 4 საათზე მოდის. ამ გარემოების მეტ-ნაკლებად დამაჯერებლად ახსნა მედიკოსებს ბოლო დრომდე არ შეეძლოთ, თუმცა კი კრიტიკულ მდგომარეობათა მედიცინის ფუძემდებელმა, ღვაწლმოსილმა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ანატოლი ზილბერმა გამთენიისას მიკვდილიანობის საიდუმლოების ახსნა შეძლო.

– ავადმყოფებზე დაკვირვებისას მივხვდი, რომ გეომაგნიტური ვითარების შეცვლის გამო, ამ დროს ყველა ადამიანს სასიცოცხლო ფუნქციების (სუნთქვის, გულისცემისა და ა. შ.) არასტაბილურობა აღენიშნება, – ამბობს პროფესორი ზილბერი. – ჯანმრთელი ხალხი ამას ვერ გრძნობს, კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები კი ხშირად ცხოვრებიდან მიდიან. იმისათვის, რომ ასეთი შედეგი არ დაგვეშვა, ანდა რისკები, შესაძლებლობისდაგვარად, მაქსიმალურად შეგვემცირებინა, ასეთი პაციენტებისთვის პროფილაქტიკური თერაპიის დანიშვნა დილის 3.00-3.30 საათზე დავიწყეთ. ამდენად, ექიმებისა და მედდების სამუშაო გრაფიკების გარკვეული შეცვლით, ჩვენ სიკვდილიანობის მაჩვენებლის რამდენჯერმე შემცირება შევძელით, – ასე ხსნის პრობლემას ცხრა ათეულ წელს მიტანებული ექიმი.

დალი ხუნდაძე

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

შპს „ენგურჰესი“ (იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. №8 III-სართ. ფაქტიური მდებარეობა აფხაზეთი, გალის რ-ნი დას. საბერიო) ნაწილობრივ ამორტიზირებულ ძირითადი საშუალებების რეალიზების მიზნით (ავტოსატრანსპორტი და მექანიზმები), აცხადებს აუქციონს ქვემოთ ჩამოთვლილ ქონებაზე:

#	დასახელება	ნომერი	გამოშვების წელი	საწყისი ფასი	„ბე“-ს ოდენობა	ბიჯი	ბილეთის ფასი	მდებარეობა
1	2	3	4	5	6	7	8	9
1.	მერსედეს ბენცი (ავტობუსი)	A964PO	1990	3000	300	30	20	საბერიო
2.	ავტ.კავზი 32270		1988	1500	150	20	10	საბერიო
3.	უაზი მ/ა	FAH-255	1999	1000	100	20	10	ჯვარი
4.	ტოიოტა 4 რანნერი	NBN310	1997	3000	300	30	20	ჯვარი
5.	ტოიოტა 4 რანნერი	TWT 354	2000	4000	400	50	20	საბერიო
